ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 27 სექტემბერი, 2018 №229 (7774) ფასი: 60 თეთრი

გურამ თუშიშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

გვ.12

„ირაკლი კობახიძემ ბიძინა ივანიშვილს მუჯლუგუნი უთავაზა“

გვ.2

გოჩა მირცხულავა: „ახალი კომკავშირლები პოზიციების გაძლიერებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებიან“

შვილმოკლული მამების აქციაში პოლიტიკოსებიც ჩაერთნენ

გვ.3

ზაზა სარალიძე: „ეს აქცია თავად ხელისუფლებამ გახადა პოლიტიკური“

მამუკა არეშიძე: „მამუკა ბახტაძე მარიონეტად დანიშნული არ მგონია“

გვ.3

რაზე ისაუბრეს პრემიერმა და ექსპერტებმა აგვისტოს დასაწყისში

სამართალი

გვ.7

„მოვიკლავ თავს და თქვენს ნამუსზე იყოს!“

გია თვალავაძეს და 5 პირს პატიმრობა შეეფარდა

რუსთავში 28 წლის ორსული ინსულტით გარდაიცვალა

მას მეორე დღეს უნდა ემშობიარა

ქობულეთში 17 წლის გოგონა მეუღლის სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს

ეკონომიკა

გვ.4

უცხოელი ტურისტი: „ბათუმის ავტოსადგური ქვეყნის სირცხვილია“

დემურ გიორგაძე: „ხელისუფლების პრობლემა ისაა, რომ 2 ბანკი ბაზრის 82%-ს ფლობს“

გვ.6

ალეკო ელისაშვილი: „კალაძე ღობე-ყორეს ედება, თეთრი ტაქსები დიდი სისულელეა!“

გვ.5

ISSN 1987-9385

5 რუსეთის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში გრძელდება

7 პოლონეთში 28 წლის საქართველოს მოქალაქე ჩაცხრილეს

4 თინა ხიდაშელი: „მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობა მთლიანად ივანიშვილის ინიციატივა იყო“

8 აშშ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს უჭერს

„ირაკლი კობახიძემ ბიძინა ივანიშვილს მუჯლუგუნი უთავაზა“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „ახალი კომკავშირლები პოზიციების გაძლიერებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებიან“

რისთვის ემზადებიან პარლამენტის თავმჯდომარე და მისი გუნდი, ვის მიაქვს ივანიშვილთან არასწორი ინფორმაციები, ვინ გამოაცხადა ქვეყნის არაფორმალურ მმართველად ნიკა გვარამია? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– გადაცემა „რეაქციაში“ ირაკლი კობახიძის გამოსვლამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. პარლამენტის სპიკერი გვიმტკიცებს, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ ქვეყანაში სიღარიბე შემცირდა. არადა, ცოტა ხნის წინ კვირიკაშვილი თანამდებობიდან სწორედ იმიტომ გადააყენეს, რომ ხალხს უჭირდა.

– მოდით, საუბარი რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციით დავიწყოთ, „რეაქციაში“ კობახიძემ ამ თემაზეც ისაუბრა. თბილისის მთავარ ქუჩაზე ახლა საქართველოს სირცხვილის ისტორია იწერება. გავა წლები და მომავალი თაობები ამრეზით შემოგვხედავენ ჩვენ. მომავალ თაობებს ჩვენ გამო შერცხვებათ იმის გამო, რომ შვილმოკლული მამები ქუჩაში დგანან და სამართალს ვერ პოულობენ.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში დღეს ზაზა სარალიძეა. მას არ ეუბნებიან, ვინ მოუკლა შვილი. კობახიძე ამბობს, რომ გამოძიება 90%-ით დემოკრატიულად არის ჩატარებული და მკვლელის დადგენის საშუალებას მტკიცებულებები არ გვაძლევს. მან დროებითი საგამოძიებო კომისიისკენ გაიშვირა ხელი და იკითხა, გამოიძია კიო.

დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გამოიძია ეს საქმე და საზოგადოებას ნათლად უთხრა ერთი რამე, საქმის გამოძიების საწყის ეტაპზე და შემდგომ დაშვებული შეცდომების, გულგრილობის, არაკვალიფიციურობის გამო ვერ დადგინდა დათუნა სარალიძის მკვლელი.

დროებითმა საგამოძიებო კომისიამ მოითხოვა ხელახალი გამოძიება, რათა დადგინდეს, არის თუ არა ჩადენილი სამოხელეო დანაშაული, ჰქონდა თუ არა ადგილი გამოძიებაზე ზემოქმედებას.

საგამოძიებო კომისიას ნამდვილად არ ჰქონდა იმის პრეროგატივა, რომ მას აპრიორი დაედო დასკვნა, რომ ეს არის მკვლელი.

თავის გამოსვლაში კობახიძე ხან უდანაშაულობის პრეზუმპციაზე ლაპარაკობდა, ხან იმას უსვამდა ხაზს, რომ კომისიამ მკვლელი ვერ გამოავლინა. დავიჯერო, არ იცის, საგამოძიებო კომისია სასამართლო რომ არ არის?!

– პროფესიით იურისტია და წესით უნდა იცოდეს.

– ამის გარდა, ის არის ახალი კონსტიტუციის ავტორი და რაღაც მაინც უნდა იცოდეს. ირაკლი კობახიძე გახლავთ ქართული პოლიტიკის სირცხვილი.

გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ დაბრუნდა? თქვა, „ოცნებაში“ პრობლემებიაო. გიორგი კვირიკაშვილმა მაშინ პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. მაინტერესებს, რატომ დარჩა პარტიის აღმასრულებელი მდივანი თანამდებობაზე. კობახიძეს ჰგონია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში ის არის პირველი და ყველაფრის გადაწყვეტა შეუძლია.

მთელი რიგი მიმართულებით, მას ხალხის დამოკიდებულება ფეხებზე ჰკიდია. ზოგჯერ სულ არ იცის ხალხის განწყობები.

ახლა სიღარიბეზეც ვისაუბროთ. იცით, საიდან მოვიდა ციფრი, რომ ღარიბთა რიცხვი 200.000-ით შემცირდა? 200.000 ადამიანი საჯარო სექტორში ჰყავთ დასაქმებული ხელშეკრულებებით. შტატში ეს ადამიანები არ ჩანან. „ოცნებაში“ ჰგონიათ, რომ სიღარიბე შეამცირეს და ეკონომიკა გაიზარდა.

მედიასთან მიმართებაშიც უტიფრად მოიქცა კობახიძე და თქვა, რომ მათი მოსვლის შემდეგ სიტყვის თავისუფლება არ იზღუდება. ამ დროს მას წინ ეჯდა ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა, რას ნიშნავს მედიაში სახელისუფლებო რეპრესია.

ინგა გრიგოლიამ ირაკლი კობახიძეს უთხრა კიდევაც, რომ როდესაც „იმედში“ მუშაობდა, უამრავი სიუჟეტი დაიბლოკა. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ გამოუშვეს „ოცნების“ დროს გრიგოლია „იმედიდან“, რა უქნეს „მაესტროს“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს.

– ირაკლი კობახიძე „იმედზე“ ამბობს, რომ ის ოპოზიციისკენ გადახრილი ტელევიზიაა.

– „იმედი“ და ჯიდიესი კრიტიკული ყოფილა, ხოლო რუსთავი 2 თურმე, ხალხს ტვინს ურეცხავს. ამ დროს ხმა საერთოდ არ ამოუღია საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისთვის ხელის მოთბობის ადგილად იქცა.

ბატონმა კობახიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში იდეოლოგიის განმსაზღვრელი ყოფილა რუსთავი 2. საქართველოში ისე ყველაფერი კარგად ყოფილა და როცა ამ ტელევიზიას ვრთავთ, მაშინ მიდის ყველაფერი ცუდად. რუსთავი 2-ს რომ გამოვრთავთ, მერე შთაბეჭდილებების ქვეშ ვართ და ვეღარ ვამჩნევთ, ქვეყანა როგორ ყვავის.

ნიკა გვარამია იმდენჯერ ახსენა, გამოდის, რომ ის ადგენს პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ დღის წესრიგს.

– კობახიძის გამოსვლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბიძინა რომ გვეგონა, ეგ არაფორმალური მმართველი გვარამია ყოფილა.

– პარლამენტის თავმჯდომარემ გვარამია წარმოაჩინა, როგორც ჰიტლერი და ჰებელსი, ერთ სხეულში გასხივოსნებული. ირაკლი კობახიძეს გიორგი გაბუნია, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარე ჰგონია. ნოდარ მელაძეს იმდენი ექსკლუზივები აქვს, შს მინისტრი ეგონება. ეკა კვესიტაძეს იუსტიციის მინისტრად ჩათვლის. გადაანაწილა თანამდებობები და გამოდის, რომ რუსთავი 2 მართავს ქვეყანას.

– კობახიძე თავად მართლა არ მართავს ქვეყანას, მას არავინ არაფერს ეკითხება და ალბათ ამიტომ ჰგონია, რომ რუსთავი 2 მართავს ქვეყანას.

– თავად პარალელურ საქართველოს მართავს, სადაც ყველაფერი კარგად არის. ირაკლი კობახიძე და მისი გუნდი, ეტყობა, ამ განწყობებით ესაუბრება ივანიშვილს. უმტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად არის.

ივანიშვილს ძალიან არ უყვარს კრიტიკული აზრის მოსმენა და ამიტომ ეუბნებიან, ყველაფერი კარგად არის, რუსთავი 2 იტყუება. მთლიანობაში ამ ადამიანებს, ეტყობა, მართლა ჰგონიათ, რომ საქართველო გასაოცარი დემოკრატიის ქვეყანაა, სადაც სიღარიბეც დაძლეულია, რომელსაც მარიხუანის მოყვანით კიდევ უფრო დავძლევთ.

თავში საუბარი ზაზა სარალიძით დავიწყე და ისევ მინდა ამ თემას დავუბრუნდე. კობახიძემ გვითხრა, რომ მისი აქციის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. ეს ასე არ არის და ასეც რომ იყოს, არც ამაში იქნებოდა რამე ცუდი.

გაგახსენებთ რამდენიმე წლის წინანდელ ამბებს. დღეს ხელისუფლებაში მყოფი პირები, როცა ოპოზიციაში იყვნენ, ქულების დასაწერად გირგვლიანის სახელს გაჰყვიროდნენ.

რას ჰქვია ნაციონალების მიერ არის ეს აქცია ორგანიზებული? გამოვიდეს მაშინ შს მინისტრი და გვითხრას, დგას თუ არა ამ აქციის უკან ყოფილი ხელისუფლება. განცხადება გააკეთოს უსაფრთხოების სამსახურმა.

როგორ დავიჯერო, „ოცნებაში“ ერთი ადამიანი არ არის ისეთი, რომელიც მორალურად თანაუგრძნობდეს შვილმოკლულ მამას, რომელიც მხოლოდ სამართალს ეძებს. აი, ასე დეგრადირდა „ქართული ოცნება“ და ასე დეგრადირდა საზოგადოება.

– ზემოთ აღნიშნეთ, რომ კობახიძეს და მის გარემოცვას ივანიშვილთან არასწორი ინფორმაციები მიაქვთ. ატყუებენ პარტიის თავმჯდომარეს თუ სიმართლეს იმიტომ არ ეუბნებიან, რომ მას კრიტიკული აზრის მოსმენა არ უყვარს?

– გამოდის, რომ ივანიშვილს ატყუებენ. ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად არის, მაგრამ რამდენიმე მედიასაშუალება და ოპოზიცია ნეგატიურ ფონს ქმნიან. კობახიძე ივანიშვილს ეტყვის, 10.000-მდე როგორ გავიზრდიდი ხელფასს, ხალხს რომ უჭირდესო.

– ივანიშვილი ისეთი გულუბრყვილოა, რომ ამის სჯერა?

– გამოდის, რომ იჯერებს. ივანიშვილი ქვეყანას უკვე ვეღარ მართავს, ეს ქვეყნისთვის დამანგრეველია. არ ვიცი, კრიტიკული აზრის მოსმენა არ უნდა, თუ მართლა სჯერა კარგად ცხოვრების, მისი პოზიცია ჩემთვის ძალიან დამაბნეველია.

ასეთივე დამაბნეველია ის პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელსაც მხარს უჭერენ. ის მარაზმი, რაშიც „ქართული ოცნება“ გვაცხოვრებს, დიდხანს არ გაგრძელდება.

– პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება ახსენეთ და რატომ დაბრუნდა ეს კაცი? მისი მოსვლის შემდეგ უფრო აირია მონასტერი.

– ივანიშვილი იძულებული გახდა, პოლიტიკაში დაბრუნებულიყო. მას ხელიდან ეცლებოდა სადავეები. ის პოლიტიკაში გაზრდილმა კორუფციამაც დააბრუნა. მას ელიტურ კორუფციაზე ჰქონდა მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

ცოტა ხნის წინ როგორ სკანდალში გაეხვია ზუგდიდის მერი. მან თანამდებობა დატოვა და მის საქმეზე სუსმა გამოძიება დაიწყო. ამის შემდეგ რა მოხდა? პარტიამ ზუგდიდის ყოფილი მერი პარტიულ თანამდებობაზე დატოვა. გამოდის, რომ სუსს ვიღაცამ უთხრა, ეს კაცი ბოლომდე არ უნდა გავწიროთ – არჩევნები გვაქვს ჩასატარებელი.

არსებობს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი რიგი მერები კონკრეტულ პერსონებს უხდიან ხარკს.

– ვის უხდიან მერები ხარკს?

– პარტიაში მიდის ეს ხარკი. პოლიტსაბჭოს წევრი და მის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე პირი მთელი ქვეყნის მასშტაბით კრეფს ხარკს. ეს ხარკი, ასე ვთქვათ, ქართულ მაღარიჩად არის მონათლული. ხარკს მხოლოდ იმ მერებისგან არ ითხოვენ, რომლებიც კალაძის და ივანიშვილის პროტეჟეები არ არიან.

– ხარკის ამბავი ივანიშვილმა არ იცის?

– ივანიშვილმა არ იცის. ახლა ვამბობ პირველად და, იმედია, გაიგებს.

ახლა ისევ ირაკლი კობახიძის „რეაქციას“ დავუბრუნდები. ამ გადაცემაში რომ მივიდა, მას ჰქონდა კონკრეტული გეგმა და სრულებით არ აინტერესებდა, რა კითხვებს დაუსვამდა მას ინგა გრიგოლია.

მან საუბარი „ბასიანის“ თემით დაიწყო და თქვა, რომ სანამ ეს პოლიცია ღამის კლუბში შევიდოდა, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა კლუბური ნარკოტიკებით. მინდა იცოდეთ, რომ „ბასიანი“ აქ არაფერ შუაშია. ეს იყო პოლიტიკური თემა, რომელსაც შიდა ქოცური გადატრიალება უნდა მოჰყოლოდა. ამის შესახებ მე ადრეც ვსაუბრობდი.

ახლა ბატონმა კობახიძემ თავისი ნარატივი, სალომესი არ იყოს, იქ გათხაროს, სადაც უნდა გათხაროს. მაგის ზღაპრებს არ დავიჯერებ და ვიტყვი, რომ კლუბური ნარკოტიკებით ადამიანების სიკვდილი ემსახურებოდა იმას, რომ დაწყებულიყო მღელვარება.

ეს მღელვარება მიმართული უნდა ყოფილიყო შსს-ს და კონკრეტულად მინისტრ გახარიას წინააღმდეგ. იმ პერიოდში გახარია, როგორც მომავალი პრემიერი, ისე განიხილებოდა. მას უნდა შეეცვალა კვირიკაშვილი. ბახტაძე საერთოდ არსად არ ჩანდა, მაგრამ მის წინააღმდეგაც მიდიოდა კამპანია, ოღონდ უფრო რაფინირებულად მუშაობდნენ და მის წინააღმდეგ კომპრომატებს ყრიდნენ ქუჩაში.

კობახიძე ტყუილად ამბობს, რომ „ბასიანის“ ამბების მერე აღარავინ დაღუპულა ნარკოტიკებით. ნარკოტიკებით გარდაცვლილი ადამიანების თემა გამოიყენეს იმისთვის, რომ შიდა გადატრიალება მოეწყოთ.

ახლა, როცა ამ განცხადებებს კობახიძე ასეთი „ზაგატოვკით“ აკეთებს, ვფიქრობ, თავადაც ხომ არ არის ამ პროცესების თანამონაწილე. ის ძალიან სწრაფად გაემიჯნა კვირიკაშვილს. ამ შემთხვევაში გონივრულ ეჭვს გამოვთქვამ, არაფერს არ ვასაბუთებ და უდანაშაულობას პრეზუმპციასაც ვიცავ.

ვინ ყოფილა ეს ადამიანი? გამოდის და ღიად გვეუბნება, მე როგორც მინდა, ისე იქნება და დანარჩენებს თავში ქვა გიხლიათ. რუსთავი 2-ს რომ ლანძღავს, ის რატომ ავიწყდება, თავის კაბინეტსა თუ მისაღებში მარტო ეს არხი რომ აქვთ ჩართული.

მისგან ყველაზე გასაკვირი მაინც გიორგი მარგველაშვილზე გაკეთებული განცხადება იყო. სპიკერმა თქვა, რომ ის იყო ნაციონალი. მიჩნდება ეჭვი, რომ ამ განცხადებით კობახიძე ურტყამს ივანიშვილს. ფაქტიურად უთხრა, დებილი ხარო.

– ამის თქმას როგორ გაუბედავდა.

– გაუბედა და ეგაა. თქვა, რომ ივანიშვილმა ნაცების ჩანერგილი კაცი წარადგინა პრეზიდენტად. ამ განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარემ ივანიშვილს მუჯლუგუნი უთავაზა.

– კობახიძემ კვირიკაშვილი უკვე მოინელა, მაგრამ ივანიშვილი არაა ასეთი იოლი მოსანელებელი.

– ვნახოთ, რას მოიმოქმედებს საპასუხოდ პარტიის თავმჯდომარე. ახლა კობახიძე თავის კომკავშირლებთან ერთად ახალი კოალიციის შექმნას და პოზიციების გამყარებას აპირებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს გუნდი მამუკა ბახტაძესაც დაუპირისპირდეს. დაპირისპირების პირველი ნიშნები უკვე შეინიშნება, მარგველაშვილისთვის ნასროლი ქვა ივანიშვილის ბოსტანში იქნა ნასროლი.

– კობახიძის კომკავშირლებში ვის გულისხმობთ, ვისთან ერთად უნდა შექმნას კოალიცია?

– მდინარაძეს, თალაკვაძეს და იმ ხალხს, ვინც მის გუნდში მოიაზრება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა არეშიძე: „მამუკა ბახტაძე მარიონეტად დანიშნული არ მგონია“

რაზე ისაუბრეს პრემიერმა და ექსპერტებმა აგვისტოს დასაწყისში

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრის შესახებ საუბრობს.

– ბატონო მამუკა, პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთნაირად არის გაკოტრებული. შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნებმა ეს დაამტკიცოს ან უარყოს?

– პოლიტიკის მიმართ ზოგადად ნიჰილისტური განწყობები საზოგადოებაში არსებობს. თუმცა, გაკოტრებული ძალიან მკვახე ნათქვამია. ეს ნიშნავს, რომ არც ერთს და არც მეორეს რესურსი არ აქვს. მე კი ვფიქრობ, რესურსი მაინც არსებობს, მთავარია, ეს რესურსი პოლიტიკურმა ელიტამ, პირველ რიგში ხელისუფლებამ, გამოიყენოს, ეს უნდა ხალხსაც.

– როდესაც ოპოზიცია სუსტია და რეალური ალტერნატივა არ არსებობს, მაშინ ხელისუფლებაც არ ცდილობს, უკეთესი იყოს. დღეს რამდენად გვაქვს ეს ვითარება?

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალ პრემიერს ნაკლებად ვიცნობ, რომელსაც მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მაინც მაქვს იმედი, რომ მას შეეძლება სწორი ორიენტირების არჩევა.

– თუ შეიძლება პრემიერთან შეხვედრაზე მოგვიყვეთ.

– მარტო არ ვყოფილვარ, კოლეგები მახლდნენ. საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა იყო. უამრავ საკითხზე ვისაუბრეთ.

– კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?

– იმ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს და ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებობს. ჩემი მთავარი კითხვა იყო, თუ რატომ არ ხდება ამ გამოწვევების, საფრთხეების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ პოლიტიკის შემუშავება.

– პრემიერმა ბახტაძემ რჩევები, კონსულტაციები გთხოვათ?

– არა, პრემიერს არ უთხოვია, ეს შეხვედრა ჩვენი ინიციატივით მოხდა.

– გვეტყვით, ვინ იყვნენ თქვენთან ერთად?

– დიახ, რამაზ საყვარელიძე და ხათუნა ლაგაზიძე.

– ამ შეხვედრიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?

– ჩემდა გასაკვირად, ბევრად უფრო ინფორმირებული აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი იმ ადამიანისგან, რომელიც ახალი მოსულია ამ თანამდებობაზე. პრემიერთან ჩვენი შეხვედრა აგვისტოს დასაწყისში იყო.

– კონკრეტულად საუბარი რას ეხებოდა?

– იმ საფრთხეებზე ვისაუბრეთ, რომლებიც ქვეყნის წინაშე არსებობს. ვგულისხმობ საერთაშორისო ტერორიზმს, საზღვრებს, მთიანი რეგიონის განვითარებას, ქვეყნის საერთო სოციალურ მდგომარეობას და ა.შ.

სხვა საკითხებზეც ვისაუბრეთ, რომლებიც კონფიდენციალური ხასიათის იყო და ვთვლი, რომ კარტები არ უნდა გავხსნა. ამის უფლება არ მაქვს. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით.

– ბოლო სკანდალურ საკითხზე, მაგალითად, კანაფის წარმოება-ექსპორტის შესახებ თუ იყო საუბარი?

– მე გითხარით, რომ აგვისტოში იყო ეს შეხვედრა.

– წინმსწრებად, სანამ საზოგადოება გაიგებდა, ხომ არ უთქვამს პრემიერს, რომ არსებობს მსგავსი კანონპროექტი, თქვენ ხომ ექსპერტის რანგში იყავით...

– არ იყო ეს საკითხი მაშინ, გაზაფხულის სკანდალი, რომელიც კლუბებთან იყო დაკავშირებული, ჩამცხრალი იყო. ბუნებრივია, ახლა ეს კითხვა მაქვს, რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ამ ტიპის გამოწვევა? იმ შეხვედრაზე პრემიერს ამ კანონპროექტზე არაფერი უთქვამს.

გარდა ამისა, მე არ ვარ ყველაფრის ექსპერტი. ჩვენ ვისაუბრეთ იმ სფეროზე, რომელიც პოლიტიკურ ისლამს, საერთაშორისო ტერორიზმს შეეხება.

ზოგადად საუბარი იყო იმაზე, რაც დღეს საზოგადოების დაკვეთაა, საზოგადოების მოთხოვნაა, მაგალითად, რატომ არ ხდება წარმოების განვითარება, ენერგეტიკის განვითარება.

ამ საუბრიდან მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას აქვს ხედვა ამ მნიშვნელოვან საკითხებზე და ისე არ არის, რომ მარიონეტად დანიშნავენ კაცს და შემდეგ საქმე არ აქვს.

– პრემიერი ბახტაძე არჩევნების საპრეზიდენტო თემას თუ შეეხო?

– არა, არჩევნებს არ შევხებივართ, მაშინ ეს თემა არ იყო აქტუალური, შეხვედრა აგვისტოს დასაწყისში იყო. თუმცა, ბევრ საინტერესო საკითხზე ვილაპარაკეთ. მე იმ საკითხებზე გითხარით, რაზეც მე გავამახვილე ყურადღება და რაზეც მე დავსვი კითხვები.

– თუ აქვს პრემიერს მსგავსი კომუნიკაციის, მეტი შეხვედრის მზაობა? მაგალითად, ჟურნალისტებთან, ექსპერტების უფრო ფართო წარმომადგენლობასთან?

– ეს მზაობა ნამდვილად დავინახე. არა მხოლოდ ჩვენთან, სხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრის, მეტი კომუნიკაციის სურვილი ნამდვილად იგრძნობოდა.



– არ გამორიცხავთ შეხვედრას პრესასთან და ექსპერტებთან?

– რასაკვირველია, არ გამოვრიცხავ. თუმცა, ეს არ არის ჩემზე დამოკიდებული. ფართო კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროც არის.

– რას ელოდებით საპრეზიდენტო არჩევნებიდან, მეორე ტურს ელოდებით?

– ძალიან რთულია თქმა, იქნება თუ არა მეორე ტური. დღევანდელი გადმოსახედით შეიძლება იყოს მეორე ტური, მაგრამ რეალურად ძალიან ეჭვი მეპარება, რადგან ოპოზიციური ხმები გაიყოფა და შეიძლება პირველივე ტურში სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს.

შვილმოკლული მამების აქციაში პოლიტიკოსებიც ჩაერთნენ

ზაზა სარალიძე: „ეს აქცია თავად ხელისუფლებამ გახადა პოლიტიკური“

შორენა მარსაგიშვილი



რუსთაველის გამზირზე მიმდინარე შვილმოკლული მშობლების აქცია კვლავ პოლიტიკური გახდა. შვილმოკლულმა მამებმა ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა პოლიტიკოსებს მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.

სამართლის აღსრულების მოთხოვნით აქცია შვილმოკლულმა მამებმა 10 სექტემბერს დაიწყეს. სარალიძეც და მაჩალიკაშვილიც აცხადებდნენ, რომ ისინი პოლიტიკოსებს გვერდით არ დაიყენებდნენ.

ასეთი გადაწყვეტილება მათ ზაფხულში გამართული აქციების შემდეგ მიიღეს. მაშინ გამწარებული მშობლების გვერდით აქციაზე პოლიტიკოსებიც დადგნენ, რასაც „ქართულ ოცნებაში“ დიდი ამბები მოჰყვა.

„ოცნების“ წევრები და მეხოტბეები განწირულ ხმაზე გაჰყვიროდნენ, შვილმოკლულებს პოლიტიკოსები გვერდში როგორ უდგანანო. ამტკიცებდნენ, რომ ამ აქციების უკან ნაციონალური მოძრაობა იდგა.

აქციაზე საკმაოდ ბევრი ხალხი დადიოდა. სიტუაციაც დაიძაბა, თან იმდენად, რომ აქციაზე მაშინდელი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილიც კი მივიდა. ხალხი მას სტვენით და ბოთლების სროლით შეხვდა.

ამ ამბებიდან ძალიან მალე პრემიერმა თანამდებობა დატოვა, დათუნა სარალიძის საქმის შესწავლა კი პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ დაიწყო.

კომისიამ დასკვნა კი დადო, მაგრამ ხელისუფლებამ არ გაიზიარა. 16 წლის მოზარდის მკვლელი დღესაც თავისუფლად დადის.

ზაზა სარალიძეს ამ კომისიის დიდი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მისცა დრო ხელისუფლებას. 10 სექტემბრიდან მან სხვა შვილმოკლულ მშობლებთან ერთად აქციები დაიწყო.

შვილმოკლულმა მშობლებმა საზოგადოებას არაერთხელ სთხოვეს მხარდაჭერა, მაგრამ ამაოდ. აქციაზე ხალხი არ მიდიოდა. არადა აქამდე ეს ადამიანები თავს იმით იმართლებდნენ, რომ არ სურდათ პოლიტიკოსების გვერდით მდგარიყვნენ.

პოლიტიკოსები აქციაზე მხოლოდ გუშინ, 26 სექტემბერს, გამოჩნდნენ, ხალხი კი ისევ ტელეეკრანიდან უყურებს სეირს.

10 სექტემბრიდან დღემდე რუსთაველზე რამდენჯერმე დაიძაბა სიტუაცია. აქციის მონაწილეებს კარვების დადგმის უფლებას არ აძლევენ. ამის გამო გუშინ, 26 სექტემბერსაც, მოხდა შეხლა-შემოხლა.

შვილმოკლული მამები გუშინ ძალიან გაღიზიანებულები ჩანდნენ. ეს არცაა გასაკვირი. ამ დღეების მანძილზე მათი მისამართით ძალიან ცუდი განცხადებები კეთდებოდა.

„ოცნების“ დიდმა მეხოტბემ გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ სარალიძე დაჩაგრულის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. 25 სექტემბერს კი პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, ამ აქციის უკან ნაცმოძრაობა დგასო.

მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად ცდილობენ მათ გაღიზიანებას. იგივეს ამბობს ზაზა სარალიძე, რომელიც გუშინ დეპუტატმა ეკა ბესელიამ საგანგებოდ გააფრთხილა და მოუწოდა, რომ ზღვარს არ გადავიდეს.

ბესელიას ვრცელ ფეისბუქ-მონოლოგს სარალიძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ზღვარს ბესელია და ხელისუფლება გადავიდნენ.

პოლიციასთან რამდენიმე შეხლა-შემოხლის შემდეგ, შვილმოკლულმა მამებმა მიმართვა გაავრცელეს და პოლიტიკოსებს გვერდში დგომისკენ მოუწოდეს.

– მთელი 9 თვის განმავლობაში, სულ ერთი და იგივე მესმის, რომ პოლიტიკურად მართულია ზაზა სარალიძე, პოლიტიკურად მართულია მალხაზ მაჩალიკაშვილი. დღემდე ვინარჩუნდებით მაქსიმალურად ყველანაირად, რომ აპოლიტიკური ყოფილიყო ეს აქციები, მაგრამ მთელმა ხელისუფლებამ თავად გადაიტანა პოლიტიკურად. პირდაპირ პოლიტიკურად გვდევნიან.

პოლიტიკამ მოუკლა მალხაზ მაჩალიკაშვილს შვილი, პოლიტიკოსები აფარებენ ჩემი შვილის მკვლელებს ხელს. მე ვთხოვ ყველა პოლიტიკურ ლიდერს, მოვიდნენ და დაგვიდგნენ გვერდით, იმიტომ, რომ ეს მკვლელები უნდა მოვაშოროთ ამ ქვეყანას. ვთხოვ, როგორც შვილმოკლული მამა, ვთხოვ, დაგვიდგნენ ყველა გვერდით, რათა ეს მარაზმი კობახიძეები დავასრულოთ ამ ქვეყანაში, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

პოლიტიკოსებს აქციაზე მისვლისკენ მოუწოდა ჟურნალისტმა ელისო კილაძემაც.

მან საპარლამენტო ოპოზიციასაც მიმართა და მოუწოდა, დაიწყონ ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტის პროცედურა.

– შვილმოკლული მამების და საორგანიზაციო ჯგუფის სახელით, შემიძლია განვაცხადო, რომ ამ წუთიდან საქართველოს პარლამენტის წინ ვუხმობთ და ვთხოვთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, მოვიდნენ და შემოგვიერთდნენ. აქცია ამ წუთიდან არის პოლიტიკური იმიტომ, რომ აღარ დარჩება სპეკულაციის საგანი ხელისუფლებას. ამიტომ არ დაგჭირდებათ დამონტაჟებული ჩანაწერების გამოქვეყნება. დღეს, 9 საათზე ველოდებით ყველა პოლიტიკურ პარტიას.

ასევე მივმართავთ საპარლამენტო კომისიას, დღეს არ არის დაყოფის დრო, დღეს არის მხოლოდ ერთიანობის დრო. ასევე მოვუწოდებთ საპარლამენტო პარტიებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის, იმპიჩმენტის პროცედურა, – განაცხადა ელისო კილაძემ.

თინა ხიდაშელი: „მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობა მთლიანად ივანიშვილის ინიციატივა იყო“

„მაშინ კოალიციაში ალასანიაზეც იყო საუბარი“

იაგო ნაცვლიშვილი

„ირაკლი კობახიძის განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არასერიოზული საქმეა“

თავდაცვის მინისტრის ყოფილი მინისტრი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი თინა ხიდაშელი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის ხმაურიან განცხადებებს აფასებს და უახლოეს წარსულს იხსენებს.

„აიღეთ 2007-2008-2009 წლები. ყველაზე მწვავე წლები. აიღეთ ერთი ფრაზა, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა თქვა. 2011-12 წლებში, როდესაც „მაესტროზე“ ნაცმოძრაობამ გავლენა მოიპოვა, მათ შექმნეს გარე ექსპერტების ერთგვარი სია, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი გარე ექსპერტი გიორგი მარგველაშვილი იყო. მახსოვს მისი რეაქციები, როდესაც ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში და რეალური საფრთხე შეექმნა ნაცმოძრაობის რეჟიმს. მაშინვე აამუშავეს გარე ექსპერტი მარგველაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ...

საკადრო პოლიტიკაში იყო სერიოზული ხარვეზები. ეს მათ შორის იმას უკავშირდებოდა, რომ კოალიციურ რეჟიმში უწევდა „ოცნებას“ გადაწყვეტილების მიღება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ „ტვ პირველის“ გადაცემა „რეაქციაში“.

– ქალბატონო თინა, „რეაქციაში“ საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ. ირაკლი კობახიძის ერთ-ერთი ხმაურიანი განცხადება შეეხებოდა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს. მან თქვა, რომ მარგველაშვილი 2011-12 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ გარე ექსპერტი იყო. როგორ შეაფასებთ კობახიძის განცხადებას?

– ასე შორსაც თუ წავიდა, არ ვიცოდი. მე ვნახე ინტერვიუდან მონაკვეთი, მარგველაშვილის პროტესტი არ მინახავსო.

ამ განცხადებების შემდეგ მგონია, რომ ამ ადამიანის განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არასერიოზულია.

– თუმცა, ჩვენ ვსაუბრობთ პარლამენტის თავმჯდომარეზე...

– თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, გიორგი მარგველაშვილი იყო ერთ-ერთი იმ პატარა ჯგუფიდან, რომელიც პირველივე დღეებიდანვე დაუპირისპირდა ნაციონალურ მოძრაობას და მიხეილ სააკაშვილს.

ირაკლი კობახიძისგან განსხვავებით, ყოველიდღე და წუთი მახსოვს, როგორც „ვარდების რევოლუციის“, ისე მისი შემდგომი განვითარების. გიორგი ნამდვილად იყო იმ ჯგუფში, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთანავე მისი ოპონენტი გახდა და ბოლო დღემდე ასე იყო. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გონიერი, დასაბუთებული და ინტელექტუალური იყო მარგველაშვილის მსჯელობა მთელი იმ წლების განმავლობაში. ძალიან სასაცილო და სამარცხვინოა იმ კაცის განცხადებები, რომელიც იმ დროს საერთოდ არაფერს წარმოადგენდა და მის შესახებ არაფერი ვიცით. გარდა იმისა, რომ მამამისი ნინო ბურჯანაძის პარტიაში იყო და, სავარაუდოდ, ისიც პრორუსულ საქართველოს გულშემატკივრობდა იმ წლებში. ეს ადამიანი ბედავს და ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებს.

– მან მარგველაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებაზეც ისაუბრა და მინიშნება გააკეთა, რომ კოალიცია იღებდა საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილებას. თუმცა, გვახსოვს, რომ ირაკლი ალასანიას უნდა ეყარა კენჭი პრეზიდენტად. გაახსენეთ კობახიძეს კოალიციის შიდა ამბები.

– არა, ირაკლი კობახიძეს ვერ გავახსენებ. გახსენება ნიშნავს, რომ იცოდი და დაგავიწყდა. ამ შემთხვევაში შემიძლია თქვენ გაგახსენოთ, რადგან ირაკლი კობახიძემ არაფერი არ იცოდა და ვერც ვერაფერი დაავიწყდებოდა. ის არ ყოფილა არავითარი პროცესისა და საუბრის მონაწილე. არ იცის საერთოდ, რაზე ლაპარაკობს. თქვენ უფრო მეტი გახსოვთ, ვიდრე მას, იმიტომ, რომ თქვენ გახსოვთ რაღაცები იმ პროცესიდან და, როგორც ჩანს, გაინტერესებთ ის, რაც არ იცით.

გიორგი მარგველაშვილის შესახებ რაც მან იკადრა, ეს ნიშნავს იმას, რომ ან ძალიან დაბალი წარმოდგენის ხარ იმ ხალხზე, ვისაც ელაპარაკები და ამიტომ ლაპარაკობ ამას, რადგან მოსახლეობაზე ფიქრობ, რომ არაფერი არ ახსოვს, არაფრის აზრზე არ არის და ამიტომ რასაც გინდა იმას მოიტყუები და ეს ტყუილი გაიყიდება. ან უსინდისო ხარ და ვიღაცის მონა, რომელიც გავალებს, რომ მარგველაშვილის დისკრედიტაცია მოახდინო.

ამ შემთხვევაშიც კი, თუ ოდნავ მაინც იცი, რაზეც საუბრობ, ასეთი სისულელე და ტყუილი არ უნდა თქვა, რომელიც სამწუთიანი ტყუილია. მე არ ვიცი ისეთი ადამიანი, ვინც ამას სერიოზულად აღიქვამდა.

– ასე ფიქრობთ, რომ მას რაღაც დავალება ჰქონდა და იმ დავალებას ასრულებდა?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ყველას აქვს რაღაც დავალება. რაღაც სია აქვთ და ამ სიის მიხედვით ადამიანების დისკრედიტირება უნდა მოახდინონ. მერე უკვე ყველა საკუთარი ინტერესების ფარგლებში საუბრობს. ვიღაცას უფრო დაბალი ინტელექტი აქვს, ვიღაცას მაღალი. ვიღაცას უკეთესი მეხსიერება აქვს, ვიღაცას უარესი. ვიღაცას ნაკლები ინფორმაცია აქვს, ვიღაცას მეტი და ა. შ.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობას, ეს მთლიანად თავიდან ბოლომდე იყო ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა, იდეაც და წინადადებაც. თუ მან ეს არ იცის და ალბათ არ იცის, ვურჩევდი, რომ სისულელეების ლაპარაკს, სჯობს, გაერკვეს, რაზე ლაპარაკობს და ამის შემდეგ ილაპარაკოს ამაზე.

– რატომ ითქვა მაშინ ალასანიას კანდიდატობაზე უარი, რა მსჯელობა გქონდათ?

– ეს ივანიშვილთან უნდა გაარკვიოთ. ამაზე საუბარს მე ნამდვილად არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, ამაზე კოალიციაში იყო საუბარი, მაგრამ ახლა რა მნიშვნელობა აქვს ამაზე საუბარს?! ფაქტი ფაქტად რჩება, გიორგი მარგველაშვილი თავიდან ბოლომდე იყო ბიძინა ივანიშვილის კანდიდატი.

ივანიშვილს ძალიან მაღალი წარმოდგენა ჰქონდა მარგველაშვილზე, ძალიან აფასებდა, ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. მუდმივმოქმედ რეჟიმში საუბრობდნენ და კონსულტაციებს გადიოდნენ. როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის მომენტი დადგა, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო, რომ მან ჯერ დააყენა და შემდეგ ბოლომდე დაიცვა მარგველაშვილის კანდიდატურა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რამე საწინააღმდეგო გვქონდა მისი. უბრალოდ, იმ მომენტისთვის ეს არ იყო მოსალოდნელი შემოთავაზება.

– ისე, საინტერესოა, თავად ირაკლი კობახიძე თუ გინახავთ რომელიმე პროტესტის გამომხატველ აქციაზე?

– არსად არ მინახავს და კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან კომფორტულად ცხოვრობდა ის სააკაშვილის მმართველობის დროს და, სავარაუდოდ, მისი გულშემატკივარიც იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა ტიპის უნივერსიტეტში რა ტიპის ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაციონალური მოძრაობის მიერ სრულიად პოლიტიზირებულ იურიდიულ ფაკულტეტზე. მაშინ ჩვეულებრივი პარტიული უჯრედი იყო ნაციონალური მოძრაობის.

– მარგველაშვილი დადიოდა პროტესტის შემცველ აქციებზე თუ სხვა ფორმით გამოხატავდა პროტესტს?

– მე არ მახსოვს არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იმ პერიოდის საქართველოში, სადაც გიორგი მარგველაშვილი მონაწილე არ ყოფილიყოს. გადაახვიოს ტელევიზორი და ნახავს მისი მონაწილეობით უამრავ თოქშოუს, გამოსვლას, ინტერვიუს...

– მედია ახსენეთ და კობახიძემ მედიაზეც ისაუბრა. ტელეკომპანია „იმედზე“ თქვა, რომ მეტწილად კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ, ხოლო „რუსთავი 2“ პარტიული ტელევიზიაა.

– მართალია, რომ „რუსთავი 2“ პარტიული ტელევიზიაა, ისევე, როგორც „იმედიც“, რომელიც მათი პარტიული ტელევიზიაა. საქართველოში დღეს გვაქვს 2 ეროვნული არხი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს. ერთი დღევანდელი მმართველი გუნდის რუპორია, მეორე – ყოფილი მმართველი პარტიის.

ბესიკ შენგელია: „ეროვნულ ბანკთან მოლაპარაკებებში პრინციპული საკითხები ღიად რჩება“

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაცია, რომელიც ამ სექტორისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ იმ დებულებას აპროტესტებს (რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს და ბაზრის მოთამაშეების მიერ სესხების გაცემის პროცესი დაარეგულიროს), დღეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძეს შეხვდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის ხელმძღვანელი ბესიკ შენგელია „კომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ ეროვნულ ბანკს აქვს საკმაოდ ხისტი პოზიცია, სებ-ი დებულების ამოქმედების ვადას არ გადაწევს, მთავარია შეთანხმებამდე მივიდეთ:

– პრინციპული საკითხები კვლავ ღიად რჩება, დღეს შედგა დიალოგი და კონსულტაციები. ურთიერთობის ასეთი რეჟიმი კიდევ გაგრძელდება. არაფერი არ გამოკვეთილა. მომხმარებელთა სეგმენტის სირთულიდან გამომდინარე, ღიად რჩება შემოსავლების დადასტურების საკითხი. გვაქვს გაურკვევლობა, როგორ დავუმტკიცოთ სებ-ს, რომ სესხს მაღალი სტანდარტებით გავცემთ. შეუძლებელია აკადემიურად ეროვნული ბანკისთვის იმის დადასტურება, რომ ჩვენ მომხმარებლის შემოსავლების დეტალური ანალიზი გავაკეთეთ.

ეს ჩვენი შიდა რისკების მომენტია, თუმცა სებ-ს მაინც განსხვავებული პოზიცია აქვს. პრობლემა ისაა, რომ როცა ხდება მიზნობრიობით სესხის მოთხოვნა, ადამიანებს ხშირად ექმნებათ აუცილებელი საჭიროებები და ამ ფულს სხვა მიმართულებით ხარჯავენ. ამას ვერ გავაკონტროლებთ. ჩვენ საკუთარ ფულს ვრისკავთ და ვაზღვევთ შიდა პოლიტიკით. იმედია, ამ პრინციპზე შევთანხმდებით.

ეროვნულ ბანკში „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ კონსულტაციები და საქმიანი შეხვედრები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დებულების სრული ვერსიის ჩამოყალიბებამდე გაგრძელდება.

სებ-ის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განაცხადა, რომ არასაბანკო სექტორთან კონსულტაციებისთვის 1 იანვრამდე დროა. თუმცა პრეტენზიების ნაწილზე რომ ვერ შეჯერდებიან, სებ-ის პრეზიდენტმა ამ ეტაპისთვის უკვე იცის. მათ შორის მსესხებლის ავტომატური გაფილტვრის სისტემის შენარჩუნებაზე:

– ზოგადად არ ვიზიარებთ მაინცდამაინც ასეთი „სქორინგის“ და მოდელების სისტემას, რადგანაც ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფაქტორებს არ ითვალისწინებს და შესაძლებელია „სქორინგის“ გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილება მსესხებლისთვის კარგი არ აღმოჩნდეს, – აღნიშნა სებ-ის პრეზიდენტმა.

ეროვნული ბანკის დებულების თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან მიკროსაფინანსო ბაზრის მოთამაშეებისათვის სესხის გაცემის წესი იცვლება. კერძოდ, საფინანსო ბაზრის ამ სეგმენტმაც სესხი დასაბუთებული შემოსავლების საფუძველზე უნდა გასცეს. ბესიკ შენგელია ამბობს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პროდუქტების მომხმარებლებს ამის გაკეთება გაუჭირდებათ:

– მივიღებთ ძალიან მძიმე სოციალურ ფონს, ადამიანები დარჩებიან ხელმისაწვდომი ფინანსების გარეშე, ჭარბი ვალით. ამის გაანალიზება არ არის რთული. უბრალოდ, ჩვენ ვერ გავიგეთ, რა გადაწყვეტილებაზე და პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის, კომენტარები მოვისმინეთ, სადაც ის საკმაოდ ხისტად ამბობს, რომ ეს არის რეგულატორის ნება. მაგრამ რეგულატორი არ უნდა გვევლინებოდეს როგორც დამსჯელი. შემზღუდავი იმ დიდი ბაზრისა, რომელიც წლების განმავლობაში ფორმირდებოდა და კარგად ვითარდებოდა.

უცხოელი ტურისტი: „ბათუმის ავტოსადგური ქვეყნის სირცხვილია“

აჭარაში საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 23%-ითაა გაზრდილი. რეგიონის მთავარი ტურისტული ცენტრი ბათუმია, ქალაქი, სადაც ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. თავად ბათუმის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი კი საქალაქთაშორისო ავტოსადგურია. ადგილი, სადაც ვიზიტორების დიდი რაოდენობა იყრის თავს და რომელიც იმდენად საშინელ მდგომარეობაშია, რომ აღშფოთებას უცხოელი ტურისტებიც ვერ მალავენ.

„კომერსანტს“ დაუკავშირდა ტურისტი, რომელმაც ამბობს, რომ ქალაქის ავტოსადგურში საშინელი ანტისანიტარიაა. მისი თქმით, ტურისტულ ქალაქში ასეთი სიტუაცია ქვეყნის სირცხვილია.

– შენობა ლამისაა დაინგრეს, ყველგან ტუალეტის სუნი დგას, კედლები ნესტიანი, არ არის მოსაცდელი ადგილები. მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს, რატომ არ აკეთებს არაფერს მთავრობა ამ პრობლემების მოსაგვარებლად? ეს არის განუვითარებელი ქვეყნების სტანდარტი, – გვწერს ტურისტი.

როგორც კომერსანტმა გაარკვია, საქალაქთაშორისო ავტოსადგურის 31 პროცენტი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის. უწყებაში ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიის ეფექტურად განვითარება, თუმცა პასუხისმგებლობას აშკარად გაურბიან.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ტურისტებს ჰქონდეთ მეტი კომფორტი აღნიშნულ ტერიტორიაზე და მოძრაობა იყოს უფრო მეტად მოწესრიგებული. იმ შემთხვევაში თუ იქნება რაიმე სახის პროექტი იგივე მერიისგან, ან აქციების უმეტესი წილის მფლობელებისგან, ჩვენ ყველა საინტერესო შემოთავაზებაზე ვიმსჯელებთ და მივიღებთ ჩვენი 30 პროცენტი წილის ნაწილში გადაწყვეტილებას, – აცხადებენ სამინისტროში.

ბათუმის საქალაქთაშორისო ავტოსადგურის დირექტორი ზაურ სოლომონიძე კი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ინვესტორის მოძიებაზე ამ დრომდე მუშაობენ, თუმცა, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ავტოსადგურში წილი აქვს, ინვესტორები თანხის ჩადებაზე უარს ამბობენ.

– არ არსებობს სხვა ადამიანი, ვისაც ჩემზე მეტად უნდა ამ საკითხის მოგვარება. ჩვენ, ეკონომიკის სამინისტრო, ბათუმის მერია ყველა ღონეს ვხმარობთ, მაგრამ 5 წელია ინვესტორი ვერ ვიპოვეთ. ინვესტორმა ავტოსადგურში თანხა რომ ჩადოს, ავტოსადგურის ღირებულება გაიზრდება, გაიზრდება როგორც მისი 69 პროცენტის ღირებულება, ასევე სახელმწიფოს 31% წილის ღირებულებაც. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს თანხა არ ჩაუდია. გამოდის, რომ ინვესტორი ფულს ჩუქნის სახელმწიფოს. ბიზნესმენი რა ვალდებულია თავის თანხის ნაწილი სახელმწიფოს აჩუქოს, – აცხადებს ზაურ სოლომონიძე.

ზაურ სოლომონიძე „კომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა, სახელმწიფო წილის გაყიდვაა.

ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფოს 31 პროცენტი გაიყიდოს, რომ ავტოსადგურს ჰყავდეს თავისი მეპატრონე. სულ ერთია ვინ იყიდის. მთავარია, მოიძებნოს ინვესტორი, რომელიც განავითარებს ავტოსადგურს და მეც გავყიდი იმ 69 პროცენტს. მე არ მაქვს იმის საშუალება, რომ განვავითარო. სხვა გამოსავალი აქ არ არის, – განაცხადა ზაურ სოლომონიძემ.

ერთი სიტყვით, ბათუმის ავტოსადგურის მოვლა-პატრონობის შესაძლებლობა და სურვილი არც სახელმწიფოს აქვს და არც კერძო მფლობელს. გამოსავალი ახლო პერსპექტივაში არ ჩანს. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ ქვეყანაში, სადაც ტურიზმის განვითარება პრიორიტეტია, ბათუმის დანგრეული და ბინძური ავტოსადგური ვიზიტორებს დიდხანს გაჰყვებათ არასასიამოვნო მოგონებად.

ალეკო ელისაშვილი: „კალაძე ღობე-ყორეს ედება, თეთრი ტაქსები დიდი სისულელეა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ალეკო ელისაშვილი პასუხობს.

– ალეკო, თბილისის მერის, კახი კალაძის ახალ ინიციატივებს ტაქსებთან და მის ფერთან დაკავშირებით, მძღოლებში სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. რასთან გვაქვს საქმე?

– საქმე გვაქვს უთავბოლობასთან! იმიტომ, რომ კალაძე რეალურად სერიოზულ პრობლემებს ვერ აგვარებს და რაღაცა პატარ-პატარა სისულელეებით არის დაკავებული, აჩვენებს, რომ თითქოს რაღაცას აკეთებს. ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა მოწესრიგდეს ამ ქალაქში. ოღონდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება ტაქსებით არ უნდა დაიწყო.

– რით უნდა დაიწყო?

– უნდა დაიწყო მეტროთი, ავტობუსებით. დღეს არა, ხვალ არა, მაგრამ აუცილებლად მივადგებით ტრამვაის. ეს გარდაუვალია. იმიტომ, რომ ყველაზე ეფექტური საზოგადოებრივი ტრანსპორტია ყველგან მსოფლიოში.

ჯერ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოაწესრიგოს. უნდა დაემატოს ბევრი ავტობუსი. ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტი ეს უნდა იყოს, რომ შემოიყვანოს ტევადი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. სულ ბოლოს ამ ყველაფერს რომ მოაწესრიგებს, მერე უნდა დაიწყოს ტაქსების რეგულირება. სახლის შენება არ შეიძლება სახურავით დაიწყო.

– კალაძემ ასე დაიწყო?

– კალაძე აპირებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოაგვაროს სახურავიდან, ანუ ტაქსებიდან. ეს არის სისულელე! სინამდვილეში მიადგა ყველაზე დაუცველ ხალხს, რომელიც ლუკმაპურს შოულობდა ამ ტაქსებით.

– დიდი ქაოსია ამ კუთხითო.

– ისეთი ქაოსიც არ უნდა იყოს, როგორც ახლაა, მაგრამ როდესაც მეტრო გაიმართება, ავტობუსები და ტევადი ტრანსპორტი ბლომად იქნება ნორმალურად დაგეგმილი, აი მერე, ბოლოს უნდა მიადგე ამ ტაქსებს. სამარშრუტო ტაქსები ქალაქში არ უნდა დადიოდეს. ეს არის საბჭოთა გაუკუღმართებული გადმონაშთი. სამარშრუტო ტაქსები დღეს არის მგზავრების მთავარი გადამყვანი, რაც არის ანომალია.

იმის მაგივრად, რომ რეალური პრობლემები მოაგვაროს, ერთი წლის თავზე წესით წინგადადგმული ნაბიჯები უნდა ყოფილიყო, ამის მაგივრად ეცნენ ტაქსებს! ამ საწყალ ხალხს.

– თეთრი ფერის ტაქსები უნდა იყოსო. რატომ მაინცდამაინც თეთრი?

– ვინ გადაწყვიტა, რომ უნდა იყოს თეთრი?! ის ჭკვიანი ადამიანი დაგვენახოს და აგვიხსნას, რატომ თეთრი და არა მწვანე?! თან ამ ჭუჭყიან ქალაქში წარმოიდგინეთ, ეს დაბინძურებული თეთრი ტაქსები როგორი სანახავი იქნება. მაგრამ რატომ თეთრი? ვინ არის ის, ვინც დაჰკრა მაგიდას ხელი და თქვა, მაინცდამაინც თეთრი!

ეს ყველაფერი არის უთავბოლობის შედეგი. როცა არ იცი, რა უნდა გააკეთო და რა თანმიმდევრობით უნდა გააკეთო და რომელია მთავარი პრობლემა და რომელი – ნაკლებად მნიშვნელოვანი, აი მაშინ ხარ ღობე-ყორეს მოდებული. ერთი წელი გადის და კალაძე ზუსტად ასეა ღობე-ყორეს მოდებული. რას აკეთებს, თვითონ არ იცის.

– არაფერი ჩანს გაკეთებული?

– ერთი ცუგა აიყვანეს და მერე ისიც მერიის გვერდით დაადგეს თაკარა მზეში, მერე მიწისქვეშა გადასასვლელები მორეცხა და ახლა მესამე, რასაც გააკეთებს, თეთრი ფერის იქნება ტაქსები. სასაცილოა ეს ყველაფერი. არადა, ქალაქში არის საშინელი პრობლემები. გადათხრილია მთელი თბილისი, საცობებია. მთავარი სამი პრობლემა იყოს, რაზეც ვლაპარაკობდით.

– რომლები?

– ეს არის ქაოტური მშენებლობები და არ გაჩერებულა, მეორე არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა და მისი თანამდევი

შედეგები, საცობები, გამონაბოლქვი, პარკინგის პრობლემა, აბსოლუტურად არაფერი არ მოგვარებულა! საცობები კიდევ უფრო ხანგრძლივი და სევდიანი გახდა, ვიდრე ადრე იყო და მესამე, ეს არის გამწვანება. ყველგან ყველაფერი გადამხმარია.

ერთი წლის წინ ასეთი მძიმე სურათი არ იყო. ერთი პატარა პარკი მაინც გვანახონ, რომელიც მათ გააკეთეს! მთავარ პრობლემებზე არაფერი წინსვლა არ არის. ტაქსი თეთრი იქნება თუ ადრე როგორც იტყოდნენ, „მოკრიასვალტისფერი“, ეს არის დიდი სისულელე!

– მძღოლს მოუწევს ტაქსის გადაღებვა და ესეც სერიოზულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. სერიოზულ პროტესტს ხომ არ მიიღებს მერია მძღოლებისგან?

– ამ მედალს ჰქონდა ორი მხარე, ერთი მხრივ, რომ ეს იყო საარსებო წყარო დაუსაქმებელი ადამიანებისთვის და მეორე მხრივ, მომსახურება მართლაც იყო კატასტროფული. ორივე მხარე ჰქონდა, მაგრამ ისე შეგიძლია გააკეთო, რომ ადამიანური პრინციპები დაიცვა. ახლა ადამიანს აიძულებ, 1.500 ლარი ზედმეტი გადაიხადოს და თეთრად გადაღებოს?! ნუთუ ეს არის ქალაქში ყველაზე დიდი პრობლემა?! მაგრამ მიადგნენ ყველაზე დაუცველებს.

– და რატომ მაინცდამაინც მათ?

– კალაძემ ერთი წელი რომ არაფრის კეთებაში გაატარა და მოდების ჩვენება ჰქონდა მოწყობილი და დღეში სამჯერ იცვლიდა შარვალ-კოსტუმს და ბოტასებს, ხან მილანში იჭრიდა თმას, ხან ულვაშით მოდიოდა და ხან წვერებით, მიხვდა, რომ ერთი წელი მარტო ამაში გაატარა და რეალური შედეგი არ ყოფილა და დღეს უნდა გვაჩვენოს, რომ ვითომ რაღაცას აკეთებს.

ტაქსებს სულ ბოლოში უნდა მიხედოს. ახლა რომ ტაქსების რაოდენობა შემცირდება და მგზავრების ნაკადი რომ გაიზრდება, რომელი სეგმენტი დააკმაყოფილებს ამ დამატებით გაჩენილ მგზავრთა ნაკადს?! იფიქრა ამაზე? ახვედრებს ალტერნატიულ ტრანსპორტს?

– ტაქსების შემცირება პრობლემებს შექმნის?

– ამდენი ტაქსი იმიტომ გაჩნდა ქალაქში, რომ მასზე მოთხოვნა იყო. მერე რას უშვრები ამ მგზავრებს?! შეხედეთ „ქართულ ოცნებას“ და კალაძე რატომ უნდა იყოს მათგან გამორჩეული?!

გამორჩეულია მხოლოდ იმით, რომ მათზე მეტი ტანსაცმელი აქვს და კი ბატონო, სიმპათიური ბიჭია და გემოვნებით იცმევს, მაგრამ ისეთივე უთავბოლოა, როგორშიც „ქართული ოცნება“! მიიღებენ სერიოზულ პროტესტს. მე კი არავის ვაქებ, მაგრამ ასე იქნება!

რუსეთის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში გრძელდება

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართულ ოცნებას“ მძიმე საშინაო პრობლემების ფონზე საგარეო დარტყმებიც მიადგა.

რუსეთში მყოფმა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ საქართველოს ხელისუფლებას „აბსოლუტურად მონური“ უწოდა. მისი შეფასებით, „ოცნება“ დასავლეთის მიმართ უფრო მორჩილია, ვიდრე სააკაშვილი იყო.

ნინო ბურჯანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის შესაძლებელია ურთიერთობების აღდგენა. მანვე აღნიშნა, რომ პროქართული პოლიტიკოსია, საპრეზიდენტო არჩევნებში კი იმიტომ არ მონაწილეობს, რომ პრეზიდენტი უუფლებოა.

თუ საქართველოს საზოგადოების ერთი

ნაწილი თვლის, რომ „ქართული ოცნება“ დასავლეთს ემონება, მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ „ოცნება“ კრემლის შეკვეთებს ასრულებს.

მოსახლეობა ერთიანია ხელისუფლების კრიტიკაში, განსაკუთრებით – ბოლოდროინდელი ნაბიჯების გამო.

რუსეთის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში გრძელდება. განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობები კრემლს ბოლო დროს აზერბაიჯანთან ჩამოუყალიბდა. თუმცა, რუსეთის ფედერაცია არც სომხეთს თმობს და ახლანდელ „სახალხო“ ხელისუფლებაზე სხვადასხვანაირად ზემოქმედებს.

საქართველოში კრემლის გავლენა და ბერკეტები დაფარულია. თუმცა, არ იმალება ისეთი ფაქტები, როგორიცაა წარმოშობით ქართველი მინისტრების მოსკოვიდან ჩამოყვანა და კრემლისთვის საამებელი განცხადებების გაკეთება 2008 წლის ომზე.

რუსეთი თავის აქტიურობას ხშირად აგრესიული ფორმებით გამოხატავს. მაგალითად, ამ დღეებში ოკუპირებულ აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე სამხედრო წვრთნებისას რუსეთის სამხედროებმა გამოიყენეს „მომთაბარე ნაღმმტყორცნი“.

ასეთი ნაღმმტყორცნები კამაზის საბარგულში მაგრდება. ეს შეიარაღება საშუალებას აძლევს არტილერისტებს, სწრაფი რეაგირება მოახდინონ მოწინააღმდეგის იერიშის დროს. აფხაზეთში რუსი სამხედროები დაზვერვისა და უპილოტო მოწყობილობებსაც ცდიან.

როგორც ჩანს, რუსეთი დიდ რესურსებს მოახმარს კავკასიასა და აზიის რეგიონს, რაც გამოიწვევს აშშ-ის საპასუხო რეაქციას.

ბელგიელი დამკვირვებლების შეფასებით, პუტინს ევროპასთან საქმის დაჭერა აღარ უნდა. ის ხელს იღებს ევროპელი რადიკალი მემარჯვენეებისა და რადიკალი მემარცხენეების გაძლიერებაზე. პუტინი ინარჩუნებს პატივისცემას მხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების, მერკელისა და მაკრონის მიმართ. კრემლის ლოგიკით, ევროპა აშშ-ის ფინიაა, ამასთან, ხდება ევროპის ისლამიზაცია და ევროპა არ იცავს თავის ფასეულობებს.

რუსეთის მთავარი მოკავშირე ჩინეთია.

ამერიკელი ანალიტიკოსები პუტინის სტრატეგიულ სისუსტეზე საუბრობენ. მათი აზრით, სტრატეგიული უნიჭობა კრემლის ლიდერმა უკრაინაში გამოამჟღავნა. თავისი უგუნურობით და ძალადობით პუტინმა მტრად აქცია მოძმე ქვეყანა. დღეს უკრაინას რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებიც კი მინიმიზირებული აქვს. უკრაინა ვაჭრობს ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან.

რუსეთმა მტრად საქართველოც გადაიკიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთთან ვაჭრობის მასშტაბები დიდია, ცალმხრივი უვიზო რეჟიმის წყალობით კი, რუსი ტურისტები სხვებს მნიშვნელოვნად აჭარბებენ.

ლაშა პაპაშვილი: „ბიზნესს ახალი რეგულაციების გამო ბანკებთან მუშაობა ძალიან უჭირს, სიმართლე გითხრათ, ვერ ვიგებ, რა ხდება“

– ბიზნესს ახალი რეგულაციების გამო ბანკებთან მუშაობა ძალიან უჭირს, რასაც ეროვნულმა ბანკმა სასწრაფოდ უნდა მიხედოს. ბანკების რეგულაციები ყველანაირ ბიზნესს შეეხო და ის გართულებული ფორმითაა წარმოდგენილი, სიმართლე გითხრათ, ვერ ვიგებ, რა ხდება, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ბიზნესმენმა ლაშა პაპაშვილმა განუცხადა.

აღნიშნული კომენტარით ბიზნესმენმა პასუხი ISET-ის მიერ ჩატარებულ კვლევას გასცა, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წლის III კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესდა და 35.4 პუნქტამდე შემცირდა, რაც 4.2 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს.

– უფრო კონკრეტულად თუ ვისაუბრებთ, ეროვნული ბანკი კორპორატიულ დაკრედიტებას ართულებს. არადა, პირიქით, ბაზრის მარეგულირებლის პირდაპირი ვალდებულებაა, რომ ბიზნესმენებს სესხებზე ხელმისაწვდომობა გაუადვილოს. ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაამარტივონ, – განმარტა პაპაშვილმა.

ბიზნესმენის განცხადებით, ბიზნესისთვის პრობლემას ლარის გაუფასურების პროცესიც წარმოადგენს.

– ფუნდამენტური მაჩვენებლები ლარის გაუფასურების წინაპირობას არ იძლევა, თუმცა ეს პროცესი მაინც მიმდინარეობს.

მაგალითად, ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს, თუმცა არ ვიცით, ამას რატომ აკეთებს. როგორც რიგით ბიზნესმენს, არ მესმის, რატომ ხდება ლარის კურსთან დაკავშირებით მსგავსი მოვლენები, – განაცხადა ლაშა პაპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ კვლევის მიხედვით ბიზნესის განწყობის ინდექსის შემცირება განპირობებულია როგორც მოლოდინების, ისე გასული სამი თვის განმავლობაში საქმიანობის გაუარესებით ბიზნესის მრავალ საქმიანობაში. სხვა სექტორებთან შედარებით, მრეწველობის სექტორმა ყველაზე პესიმისტურად შეაფასა როგორც მიმდინარე საქმიანობა, ასევე მოლოდინები, მაშინ როცა, სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ოპტიმისტურად არის განწყობილი.

მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას გვიჩვენებს, 2018 წლის მესამე კვარტალში 3.4 პუნქტით არის შემცირებული.

ბიზნესის ოპტიმიზმი მცირედით შემცირებულია და 64.2 პუნქტს შეადგენს. მრეწველობის სექტორთან ერთად, საცალო ვაჭრობამ და საფინანსო სექტორმა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნესსექტორის შემცირებულ ოპტიმიზმში.

გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით შემცირებულია, თუმცა ისევ მაღალია გასული წლის მოლოდინებთან შედარებით. მომსახურების და მშენებლობის სექტორი მომდევნო კვარტალში კვლავ ფასების ზრდას მოელის.

მოლოდინების და მიმდინარე საქმიანობის ინდექსი გაუარესებულია როგორც დიდი ზომის, ისე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების შემთხვევაში.

დიდი ზომის ბიზნესისთვის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და

აღჭურვილობა სახელდება. ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესების უმეტესობა მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად კვლავ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და მოთხოვნის სიმცირეს ასახელებს.

„ხელისუფლების პრობლემა ისაა, რომ 2 ბანკი ბაზრის 82%-ს ფლობს“

დემურ გიორხელიძე: „გადამზიდავებთან კონფლიქტი ვიღაც იდიოტმა გამოიწვია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.

– ბატონო დემურ, საწვავზე ფასი ყოველდღიურად იზრდება და ამბობენ, ძალიან მალე საწვავის ფასი 3 ლარს მიაღწევსო. რას იტყვით თქვენ?

– ძალიან ცუდი სიტუაციაა, ისედაც არანორმალური ფასებია. არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, ისეთი სიტუაციაა, როდესაც ფაქტობრივად ხდება სრული მონოპოლიზაცია ქართული ბაზრების.

– როგორი პერსპექტივა გვაქვს?

– სახარბიელო ნამდვილად არა. ორი ბანკის ხელშია მთელი აქტივების 82%. ფაქტიური მონოპოლიაა ჩამოყალიბებული, რომელიც უკვე საფრთხეს უქმნის თვითონ სახელმწიფო სისტემას, იმიტომ, რომ არის ყველაზე დიდი დესტაბილიზაციის საფრთხე. ისინი აკონტროლებენ ბიზნესებს.

– ნავთობპროდუქტებსაც?

– იგივე შეიძლება ითქვას ნავთობპროდუქტებზე, სადაც სრული შეთანხმებული მოქმედებაა და ფასები ხელისუფლების ხელშეწყობით მიდის ზევით და ზევით. არა მხოლოდ ნავთობპროდუქტებზე, ყველაფერზე არანორმალური ფასებია, გაუგონარი!

ხელისუფლება კმაყოფილია, თუმცა გაუგებარია, რითია კმაყოფილი, მაგრამ ასეთია სიტუაცია. წინ სერიოზული პრობლემებია და ეს სერიოზული პრობლემები ხელისუფლებას ელოდება პირველ რიგში.

– ბარელ ნავთობზე ზოგადად მსოფლიოში ძვირდება ფასები და ჩვენთანაც ამიტომ იმატებსო. ასეა?

– არანაირი ძვირი ფასები დღეს ნავთობზე არ არის. ნორმალური ფასებია. მაშინ, როდესაც

145 დოლარი ღირდა ბარელი, მაშინ არ იყო ასეთი ფასები საქართველოში. ახლა კი მხოლოდ შიდა ფაქტორების გამოა ასეთი მასშტაბის ცვლილებები და არა – გარე ფაქტორების გამო.

– თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, რა ვითარება შეიქმნება ქვეყანაში?

– თუ ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყნის შიგნით ასეთი დარჩება, ეს კარგს არაფერს მოუტანს არც ქვეყანას და არც ხელისუფლებას. აქ სხვა ტენდენცია არც არსებობს უკვე წლებია, ფასები ნელ-ნელა მიდის ზევით და ზევით, უბრალოდ, ახლა სრულიად თავშეუკავებელი პოლიტიკაა.

ასევე გაუმართლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, იდიოტურ მოსაზრებებზე აგებული, რომელიც კარგს არაფერს უქადის.

– ლარის კურსის პროგნოზი უკვე შეუძლებელია, მას ვეღარ აკონტროლებენ.

– ლარის კურსის კონტროლი ძალიან კარგად ხდება ხელისუფლების მიერ, იგივე ეროვნული ბანკის მიერ, უბრალოდ, ეს სიტუაცია იძლევა იმ ძალიან გავლენიანი ჯგუფებისთვის დიდი ფულის კეთების საშუალებას. ამიტომ ასეთ სიტუაციაში ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი ცოტა არასერიოზულია.

– თქვენ მონოპოლიებზე საუბრობდით და საკმაოდ ცხელი გასული კვირა ჰქონდა ხელისუფლებას და ეკონომიკის სამინისტროს, ხორბლის გადამზიდავ კომპანიებთან. პროტესტის ფონზე ხელისუფლებამ უკან დაიხია. ამაზე რას იტყვით?

– ესეც ვიღაცის ინტერესი იყო. სრულიად იდიოტის მოფიქრებული აკრძალვა იყო. ვიღაცას უნდა, რომ განაგებდეს საქართველოში ყველაფერს და აბსოლუტურად უაზრო გადაწყვეტილება იყო. ცხადია, ისევ ვიღაცის ინტერესის სასარგებლოდ, თორემ ქვეყანას ამან რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს?! რაც უფრო ორგანიზებული იქნება პროტესტი ინტერესების დასაცავად, მით უფრო ხელისუფლებას მოუწევს უკან დახევა, მაგრამ ხელისუფლებას უკვე აქვს პრობლემები.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლების პრობლემა ის არის, რომ მან სისტემური კრიზისების საფუძველი ჩადო. მის ხელში მოხდა საბანკო სექტორის სრული მონოპოლიზაცია. 70%-ს ფლობდა ორი ბანკი 2012 წლისთვის და დღეს ისინი 82%-ს ფლობენ, რაც გაუგონარი კონცენტრაციაა და მსოფლიოში ამის მსგავსი არსად არ არსებობს. საპროცენტო განაკვეთები არ იკლებს და არც მოიკლებს, ამიტომ ჩვეულებრივი რაღაც ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, განუვითარებლობას იწვევს და თუ გარედან რაიმე იმპულსი იქნება, ქვეყნის ხელისუფლებას უდიდესი პრობლემა ექნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ მონოპოლისტურ სტრუქტურებს შეუძლიათ გაიყონ ის დაფინანსება, თუ ამის იმპულსი იქნება გარედან იმ ოპოზიციური ჯგუფებისთვის, რომლებიც იმ დიდი ფულით შეძლებენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას.

– ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია სოციალური ბუნტიც?

– ქვეყნის შიგნიდან ამის პოტენციალი არ არის, იმიტომ, რომ ქართველი კაცი საკუთარ მომავალს ძალზე უპასუხისმგებლოდ ეკიდება. სიღარიბეს მიეჩვია და არ რეაგირებს. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ თუ გარედან იმპულსი იქნა, ამ მონოპოლისტურ სტრუქტურებს შეუძლიათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილება.

– ხელისუფლება თავადვე ქმნის ამ მონოპოლიებს და საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს?

– ხელისუფლების ხედვა არის აბსოლუტურად უპერსპექტივო. ახლა უკვე აშკარად ჩანს ეს ყველაფერი. მათი ხედვები არანაირ შედეგს, გარდა პრობლემებისა, არ მოიტანს. ეს არ არის პოლიტიკური ჯგუფის გადაწყვეტილებები, ეს არის გაუგებარი გადაწყვეტილებები, რომლებიც ახდენს ხელისუფლების დისკრედიტაციას და ნელ-ნელა მიჰყავს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე.

– ფიქრობთ, რომ ცუდად დაასრულებენ?

– მე ვფიქრობ, რომ თუ არაფერი შეიცვალა, ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები ექნება.

„საქართველოში გზების მშენებლობაში ერთიანი სტანდარტის შედგენა არის ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში“

– საქართველოში გზების მშენებლობაში ერთიანი სტანდარტის შედგენა არის ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში, – ასე ეხმაურება ინფრასტრუქტურის მშენებელი კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტის ხელმძღვანელი პაატა ტრაპაიძე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ირაკლი ქარსელაძის, განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში გზების მშენებლობის ერთიანი სტანდარტი ამოქმედდება.

ქვეყანას უნდა გააჩნდეს საკუთარი სტანდარტი. არ არის საუბარი ახალი ველოსიპედის გამოგონებაზე – უნდა შეირჩეს ის სტანდარტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მისაღებია. პირობითად – გზის კატეგორიები, მისი პარამეტრები, სიგანე, დახრის მაქსიმალური კუთხე; საფარის ტიპი – არსებობს გზები, სადაც დასაშვებია არა მხოლოდ ცემენტო-ბეტონის საფარი, არამედ სხვა ტიპის გადაწყვეტებიც; გზის სიგანე – მთიან რელიეფში პირობითად შეუძლებელია 7-მეტრიანი გზის სიგანის მიღება და ა.შ., – აცხადებს ქარსელაძე.

ტრაპაიძის შეფასებით, მსგავსი მოდელი დააზარალებს ნებისმიერი უცხოური ახალი ტექნოლოგიის საქართველოში შემოსვლას. მისი მტკიცებით, თუ ქვეყანა ევროკავშირისკენ და ევროპული სტანდარტებისკენ მიდის, რა საჭიროა ცალკე, საკუთარი ნორმების შექმნა?

– ეს არ არის მიზეზი, რომ გზები ხარისხიანად ვერ კეთდება. ამის მიზეზი არის სისტემის არასწორი ფუნქციონირება. ანუ, ჩვენ რა გვაინტერესებს, ამაზე უნდა ჩამოვყალიბდეთ. მე, როგორც მოქალაქეს, მჭირდება, რომ ხანგრძლივი მოქმედების გზა აშენდეს. ანუ გზას, რომელიც დღეს აშენდება, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სჭირდებოდეს ორმოული შეკეთება. არ შეიძლება, ერთ რამეზე სხვადასხვა ადამიანმა აგოს პასუხი. 8 წელიწადია ვცდილობ, რომ საქართველოში დავნერგოთ ღირებულება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. რატომ არ უნდათ ამის გაგება და რისი ეშინიათ, არ ვიცი, – აცხადებს ტრაპაიძე.

მისივე შეფასებით, ცივილიზებული მსოფლიო 30-წლიან ვარიანტებზე გადავიდა. ის ვინც ააშენებს, უვლის და აკეთებს ყველაფერს.

– ევროკავშირზე თუ ვართ ორიენტირებულნი, გადმოვთარგმნოთ ევროკოდები და დასრულდება, რათ უნდა ამას ქართული სტანდარტი. ჩემი აზრით, საგზაო დეპარტამენტის უფროსს არასწორ ინფორმაციას აწვდიან. პრობლემა არა სტანდარტებში, არამედ ისაა, თუ როგორ მუშაობს სისტემა და როგორ ემსახურება მას საგზაო დეპარტამენტი, – აცხადებს ტრაპაიძე.

მისი ინფორმაციით, 21-ე საუკუნეში მოტივაციის გარეშე არაფერი არ არსებობს. საქართველოს მთავრობაში კი არანაირი მოტივაცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა – ვინმემ ვინმეზე უკეთესად რატომ უნდა იმუშაოს?

როგორც ტრაპაიძე განმარტავს, დღეს არავინ არ ითვლის, თუ რა ჯდება გზის მოვლა-პატრონობა 10 წლის განმავლობაში. მისი განცხადებით, დასრულდა ის დრო, როდესაც გზები საშინელ მდგომარეობაში იყო და ოღონდ გაგვეშავებინა, ამას ვფიქრობდით. დღეს დადგა დრო, როდესაც თუ რამეს ვაკეთებთ, უნდა ვიცოდეთ რამდენი წლით ვაკეთებთ.

კითხვაზე, წლების განმავლობაში რატომ არ ხდება ინფრასტრუქტურის სამინისტროში მსგავსი და სწორი სტრატეგიის დამუშავება?

ტრაპაიძე აცხადებს, რომ აქ საქმე გვაქვს ეკონომიკის მიდგომებთან და არა პროფესიონალიზმთან.

– აქ ინფრასტრუქტურის პრობლემა არ არის, აქ მთლიანად მიდგომის პრობლემაა. უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიკა შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. ეს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბრალი არ არის, აქ გლობალური პრობლემა დგას, – აცხადებს ტრაპაიძე.

იანვრის შემდეგ 189 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დაიხურა

აგვისტოში ქვეყნის მასშტაბით კიდევ 16 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დაიხურა. 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კი გაუქმებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რიცხვმა 189-ს მიაღწია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გაუქმებული პუნქტებიდან 112 მფლობელების განცხადების საფუძველზე დაიხურა, ხოლო 77-ს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დარღვევისათვის გაუუქმდა რეგისტრაცია.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების შემცირების ტენდენცია ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა. შარშან, აგვისტოში, სულ ქვეყნის ტერიტორიაზე 1.120 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ფუნქციონირებდა. ბოლო მონაცემებით, 2018 წლის აგვისტოში კი მათი რიცხვი 1048 -ს შეადგენს.

დარღვევები, რის გამოც ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს რეგისტრაციას უუქმებს, ძირითადად უკავშირდება ვიდეო მეთვალყურეობის სისტემების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, მომხმარებლისათვის ინფორმაციის არასათანადოდ მიწოდებას, იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის პროცესების არაჯეროვნად განხორციელებას, შიდა კონტროლის სისტემის არარსებობა და სხვა. გარდა ამისა, დარღვევები ფიქსირდება მომხმარებელთათვის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისას, როცა ხორციელდებოდა ტრანზაქციის საკომისიო გადასახადით დაბეგვრა ან/და გარიგების საყურადღებო კურსით განხორციელება, მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების გარეშე.



ეროვნულმა ბანკმა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების სრულყოფისა და მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების ახალი წესი 2018 წლის 28 თებერვალს აამოქმედა. აღნიშნული წესით გამკაცრდა სარეგისტრაციო მოთხოვნები შესაფერისობის კრიტერიუმებისა და საოპერაციო ფართის მოწყობის კუთხით. რეგისტრირებულ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს საქმიანობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ვადა 2019 წლის პირველ იანვრამდე აქვთ, რაც შეეხება მიმდინარე წლის 28 თებერვლიდან დარეგისტრირებულ გადამცვლელ პუნქტებს, მათ საქმიანობა ახალი წესების სრული დაცვით უნდა განახორციელონ.

ირაკლი ლექვინაძე: „ბინზესგარემოს მთავარი პრობლემა სასამართლო და ბიუროკრატიაა“

„ბიზნესგარემოს მთავარ პრობლემად კვლავ სასამართლო და ბიუროკრატია რჩება, რომელიც საჯარო სექტორის შუა რგოლშია“.

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე „კომერსანტთან“ ქვეყნის განწყობის ინდექსის შემცირების ტენდენციებზე საუბრობს და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის III კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესდა და 35.4 პუნქტამდე შემცირდა, რაც 4.2 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალის მაჩვენებელს (ბიზნესის განწყობის ინდექსს ISET-i BIA-სთან და ICC Georgia-სთან ერთად ადგენს).

როგორც ლექვინაძე განმარტავს, ამ მაჩვენებლებს ჯერჯერობით ტენდენციური ხასიათი არ აქვს, რადგან წლის დასაწყისიდან პოზიტიური დინამიკით ხასიათდებოდა. პრობლემა იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ ინდექსი მომავალშიც გაუარესდება.

ირაკლი ლექვინაძე:

– კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის მოლოდინები მეოთხე კვარტლისათვის გაუარესებულია წარმოების, მშენებლობისა და საფინანსო სექტორის მიმართულებით, ხოლო გაზრდილია მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სერვისის სექტორებში. იმ შემთხვევაში თუ ინდექსის გაუარესება მომავალშიც დაფიქსირდა, ეს ნიშნავს, რომ ფაქტორები ფუნდამენტურია. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი კვარტლების მაჩვენებლები. მნიშვნელოვანია ასევე, წინა საარჩევნო პერიოდის ფაქტორიც, რაც უახლოესი პერიოდისთვის ბიზნეს მოლოდინებზე გავლენას ახდენს.

რაც შეეხება ზოგადად ბიზნესგარემოს საქართველოში, ბიზნესომბუდსმენი ყურადღებას ისევ სასამართლოსა და ბიუროკრატიაზე ამახვილებს.

კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო და ბიუროკრატია, რომელიც საჯარო სექტორის შუა რგოლშია. ჩვენი შეხვედრების დროს (წელს იცით, რომ გაზაფხულზე გვქონდა რეგიონული შეხვედრების პირველი ეტაპი), მეწარმეები პრობლემურ საკითხებად სწორედ შუა რგოლში ბიუროკრატიასა და გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებს ასახელებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თემები განმსაზღვრელია მოლოდინების ფორმირებაში, – განმარტავს ირაკლი ლექვინაძე.

„მოვიკლავ თავს და თქვენს ნამუსზე იყოს!“

გია თვალავაძეს და 5 პირს პატიმრობა შეეფარდა

სააფთიაქო ნარკომანიის ბრალდებით დაკავებულ 6-ვე პირს, მათ შორის სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროს გია თვალავაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ, 26 სექტემბერს, გამოაცხადა.

ბრალდებულებისთვის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა პროკურატურამ დააყენა, შესაბამისად, მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილებით ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ერთ-ერთი ბრალდებული ნათელა მამულაშვილი გადაწყვეტილებას შემდეგი რეპლიკით შეხვდა:

– რატომ მაპატიმრებთ რატომ? მოვიკლავ თავს და თქვენს ნამუსზე იყოს!

პროკურორის განმარტებით, სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე ბრალდებულებს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იმ საფრთხეების გათვალისწინებით შეუფარდა, რომლებიც არსებობდა.

როგორც პროკურორმა გიორგი ლილუაშვილმა აღნიშნა, სახეზე იყო მტკიცებულებების მოპოვების ხელისშეშლის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეები, რის გამოც სასამართლომ სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობა დაკმაყოფილა და ბრალდებულებს პატიმრობა შეუფარდა. ლილუაშვილის თქმით, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს უფროსს გია თვალავაძეს ბრალი წარედგინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, ხოლო დანარჩენ პირებს ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ჩადენის ფაქტზე.

– სასამართლომ ექვსივე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც მოცემულ შემთხვევაში არსებობდა, კერძოდ, არსებობდა მტკიცებულებების მოპოვების ხელისშეშლის, მოწმეებზე ზემოქმედების და ასევე დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეები. პროკურატურამ ყველა ბრალდებულის მიმართ წარმოადგინა მათი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. კონკრეტულ ბრალდებულთან მიმართებით არსებობს როგორც ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ასევე მოწმეთა ჩვენებები და შესაბამისად სხვა მტკიცებულებები, – განაცხადა გიორგი ლილუაშვილმა.

რაც შეეხება საქმეზე დაკავებულ სხვა პირებს, პროკურორის თქმით, სახელმწიფო ბრალდება მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას ითხოვს.

– რაც შეეხება დანარჩენ 14 პირს, რომელთა დაკავებაც მოცემული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მოხდა, ესენი არიან იმ აფთიაქებში დასაქმებული პირები. მათი ბრალეულობის ხარისხის და კვალიფიკაციის შესაბამისად, სახელმწიფო ბრალდებამ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, რომ მათ მიმართ გამოყენებული იყოს გირაო, – განაცხადა ლილუაშვილმა.

* * *

– სასამართლომ უპირობოდ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა კი არა, ამას უფრო ბრძანებას დავარქმევდი, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ბრალდებული ნათელა მამულაშვილის ადვოკატმა ნათია სირაძემ განუცხადა.

დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე მოსამართლის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. ადვოკატის შეფასებით, მოსამართლის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო.

– სასამართლომ ყოველგვარი განმარტების და დასაბუთების გარეშე გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მან უპირობოდ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა კი არა, ამას უფრო ბრძანებას დავარქმევდი, მიუხედავად იმისა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების არც მიზანი, არც საფუძველი და არც დასაბუთებული შუამდგომლობა პროკურატურას არ წარმოუდგენია. 63 წლის ქალს აღკვეთის ღონისძიება, როგორიც პატიმრობაა, შეუფარდეს მაშინ, როცა ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს, არც ვარაუდი, რომ დაიმალება, პირიქით, ექვსივე ბრალდებული თანამშრომლობდა გამოძიებასთან, კეთილსინდისიერად ცხადდებოდა დაკითხვებზე, ჩვენებებს აძლევდა და მათი მხრიდან არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, – განაცხადა ნათია სირაძემ.

* * *

– მაისის შემდეგ მიდის ამ საქმეზე გამოძიება და ყველა გამოძახებისთანავე ცხადდებოდა დაკითხვაზე. რეალურია მიმალვის საფრთხე? – ამის შესახებ გია თვალავაძის ადვოკატმა ლალი აფციაურმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ადვოკატი დარწმუნებულია, რომ მოსამართლე ვერ დაასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. აფციაურის თქმით, მოსამართლემ არ მიიღო მხედველობაში ბევრი გარემოება, მათ შორის ის, რომ თვალავაძეს თავდებში უდგებოდნენ.

– დღევანდელ გადაწყვეტილებას დასაბუთება სჭირდება და დარწმუნებული ვარ, დაუსაბუთებელი იქნება, რადგან პატიმრობის გამოყენების არც ერთი საფუძველი არ არსებობდა.

მას საკმაოდ ცნობილი ადამიანები უდგებოდნენ თავდებში. ამას რომ თავი დავანებოთ, დაპატიმრების არანაირი საფუძველი არ იყო. ბრალდებამ ბრძანა, რომ მიიმალება თვალავაძე. მაისის შემდეგ გამოძიება მიდის და ყველა გამოძახებაზე ცხადდებოდა დაკითხვაზე. რეალურია მიმალვის საფრთხე? – არა. ზეწოლას მოახდენსო მოწმეებზე, მაგრამ ამის ერთი მტკიცებულება ხომ უნდა იყოს? მოსამართლე არის უსამართლო, – აღნიშნა ლალი აფციაურმა.

სუს-მა ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის“ სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე ორი დღის წინ დააკავა. ასევე, ბრალდებულის სახით დაკავებულები არიან უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული საქართველოს მოქალაქეები: ნინო კ, ქეთევან ჩ, ლაშა ჩ, ნინო გ. და ნათელა მ.

რუსთავში 28 წლის ორსული ინსულტით გარდაიცვალა

მას მეორე დღეს უნდა ემშობიარა

რუსთავში 28 წლის გოგო, რომელიც 36 კვირის ორსული იყო, გარდაიცვალა. ახალგაზრდას მეორე დღეს უნდა ემშობიარა.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი ინსულტით გარდაიცვალა.

– სასწრაფოს ეკიპაჟმა მოიყვანა 28 წლის გოგო, რომელიც იყო 36 კვირის ორსული. სხეულზე აღენიშნებოდა იასამნისფერი ლაქები, ფიქსირებული ფოტორეაქცია არ იყო, მოვიდა მიმდინარე გულფილტვის რეანიმაციით, ჩვენ გავაგრძელეთ დაწყებული რეანიმაციული ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდა პროტოკოლის სრული დაცვით, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

ნაყოფის გადარჩენაც ვერ მოხერხდა. ჩემი ინფორმაციით, მეორე დღეს დაგეგმილი იყო საკეისრო კვეთა, – განაცხადა გადაუდებელი განყოფილების მორიგე ექიმმა ლევან სუტურმა.

შსს-ში „ინფო რუსთავი“-ს განუცხადეს, რომ „ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს“.

გარდაცვლილს 4 წლის შვილი და მეუღლე დარჩა.

ITALIASHI SAQARTVELOS MOQALAQEM MARAZIA ERTI WLIS SVILTAN ERTAD GAQURDA

საქართველოს მოქალაქემ იტალიის ქალაქ ტრიესტში მაღაზია ერთი წლის შვილთან ერთად გაქურდა. იტალიური მედიის ცნობით, 42 წლის ბ.გ-მ მაღაზიიდან 330 ევროს ღირებულების ბავშვის ტანსაცმელი მოიპარა.

როდესაც მისი ქმედებები მაღაზიის პერსონალმა დაინახა და მისი შეჩერება სცადეს, მამაკაცმა ეტლი დაგდო და თავად ბავშვთან ერთად გაქცევა სცადა. მამაკაცი ჯერ გამვლელებმა, შემდეგ კი პოლიციამ შეაჩერა.

იტალიური მედიის ცნობით, მცირეწლოვანი თავს კარგად გრძნობს, ის დედას გადასცეს, თავად მამაკაცი კი კორონეოს ციხეშია გადაყვანილი.

ქობულეთში 17 წლის გოგონა მეუღლის სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს



ქობულეთში 17 წლის გოგონა მეუღლის საცხოვრებელ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

მომხდარის მიზეზებზე უჭირთ საუბარი გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრებს.

მომხდართან დაკავშირებით, ძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

POLONETSHI 28 WLIS SAQARTVELOS MOQALAQE CHACHRILES

პოლონეთში 28 წლის საქართველოს მოქალაქე ჩაცხრილეს.

ცნობილია, რომ გორელი ახალგაზრდა ბ.ბ. პოლონეთში სამუშაოდ 1 თვის წინ წავიდა.

მომხდარის სხვა დეტალები უცნობია.

ნიუპოსტი

საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით, ქონების თვალთმაქცური გარიგებით გადამალვის 28 ფაქტი გამოვლინდა

საგამოძიებო სამსახურმა საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით, ქონების თვალთმაქცური გარიგებით გადამალვის 28 ფაქტი გამოავლინა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, მიმდინარე წლის განმავლობაში, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მეწარმე სუბიექტების მხრიდან საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით თვალთმაქცური გარიგებით ქონების გადამალვის 28 ფაქტი გამოავლინა.

გამოძიების პროცესში მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ზემოხსენებული მეწარმე სუბიექტები, რომლებსაც ჩატარებული საგადასახადო შემოწმებებისა და ინვენტარიზაციის შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ერიცხებოდათ დიდი ოდენობით თანხები, საგადასახადო ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგების გზით, სისტემატურად ახორციელებდნენ მათზე რიცხული ქონების ოჯახის წევრებისა და ახლობლების სახელზე ფიქტიურად რეგისტრირებულ საწარმოებზე გასხვისებას. აღნიშნული ქმედების შედეგად, საგადასახადო ორგანოები ვეღარ ახდენდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული გადასახადების და ჯარიმების იძულების წესით ამოღებას.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2051 მუხლით 28 მეწარმე სუბიექტი პასუხისგებაში მისცა,“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

AVARIAS TBILISIS ZGVASTAN BAVSHVI SHEEWIRA

მსხვერპლით დასრულდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ავარია.

თვითმხილველთა ინფორმაციით, ხუდადოვის ქუჩაზე ერთმანეთს 2 ავტომობილი შეეჯახა. შედეგად, ერთ-ერთ ავტომობილში მყოფი მცირეწლოვანი დაიღუპა.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპი: „დახმარებას მხოლოდ მათ გავუწევთ, ვინც პატივს გვცემს და ჩვენი მეგობარია“

– ვაშინგტონი ამერიკიდან მხოლოდ იმ ქვეყნებს დაეხმარება, ვინც აშშ-ის მეგობარია, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში გამართული პოლიტიკური დისკუსიების დროს განაცხადა.

დონალდ ტრამპის თქმით, როდესაც საუბარია აშშ-ის უცხოურ დახმარებაზე, აშშ დიდი ოდენობის დახმარებას გასცემს.

– აშშ გაარკვევს, ემთხვევა თუ არა ამერიკის ინტერესებს იმ ქვეყნების ინტერესები, რომელსაც ვაშინგტონი ეხმარება. ამიერიდან დახმარებას მხოლოდ იმათ გავუწევთ, ვინც პატივს გვცემს და ვინც ჩვენი მეგობარია, – აღნიშნა აშშ-ის ლიდერმა.

დონალდ ტრამპის თქმით, აშშ გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების ხარჯების 25%-ზე მეტს არ დაფარავს.

აშშ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს უჭერს

აშშ მხარს უჭერს უკრაინელთა ბრძოლას დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობისათვის. ასეთი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უკრაინელთა ბრძოლას ეროვნული ავტოკეფალური ეკლესიის შექმნისთვის.

– აშშ რელიგიურ თავისუფლებას მუდამ მხარს უჭერდა. უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნაც უკრაინელი ხალხის უფლებაა, – ნათქვამია განცხადებაში.

რაც უფრო რეალური ხდება უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, მით უფრო აგრესიული ხდება რუსული ეკლესია. რუსულმა ეკლესიამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ყოველგვარი თანამშრომლობა შეაჩერა. პარალელურად უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (მოსკოვის საპატრიარქოსი) მოითხოვა, რომ მსოფლიო პატრიარქის მიერ დანიშნულმა ეგზარქოსებმა უკრაინა დატოვონ.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთის ესოდენი აგრესია უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ხელს არ შეუშლის.

– უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ, სავარაუდოდ, რუსეთის პატრიარქი კირილე თავის პოსტს დატოვებს. სავარაუდოდ, მას პუტინის პირადი მოძღვარი შეცვლის, – თვლის რადიო „თავისუფლება“ .

ისრაელი სირიაში სამხედრო ოპერაციებს გააგრძელებს

ისრაელი სირიაში სამხედრო ოპერაციებს გააგრძელებს. ამის თაობაზე პრემიერმა ნეთანიაჰუმ განაცხადა.

– ოპერაციები ძირითადად ირანის წინააღმდეგ იქნება მიმართული, – თქვა პრემიერმა.

ამავე დროს, ნეთანიაჰუმ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუსეთთან კოორდინაცია აუცილებელია.

– მე და ვლადიმერ პუტინი შევთანხმდით, რომ რუს სამხედროებთან სისტემატიური კონტაქტები გაგრძელდება, – ამბობს ნეთანიაჰუ.

მატისს ჩინეთთან სამხედრო კონტაქტების აღდგენის იმედი აქვს

ჩინეთმა აშშ-სთან სამხედრო მოლაპარაკებები შეწყვიტა. მიზეზი აშშ-ის მიერ ჩინეთის მიმართ გატარებული პოლიტიკაა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მატისმა განაცხადა, რომ ჩინეთთან სამხედრო კონტაქტების აღდგენის იმედი აქვს.

– ჩვენ საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ, – თქვა მატისმა.

ტიმოშენკო და პოროშენკო საპრეზიდენტო სიას ლიდერობენ

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია „ბატკივშინას“ ლიდერი იულია ტიმოშენკო და უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგში ლიდერობენ.

აღნიშნულს ცხადყოფს კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვა.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებზე იულია ტიმოშენკოს გამოკითხულთა 19,3% აძლევს ხმას, მეორე ადგილზე პეტრო პოროშენკოა (11,9%), მესამეზე კი – უკრაინელი შოუმენი ვლადიმერ ზელენსკი (11,8%).

გამოკითხვა 3-დან 23 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა, ხოლო მისი ცდომილება 3,3%-ს შეადგენს.

უკრაინაში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2019 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

შვეიცის პრემიერი გადაყენეს

შვეიცის პარლამენტმა პრემიერ ლიოვენს უნდობლობა გამოუცხადა. ამაში უდიდესი როლი შვედურმა მემარჯვენე ოპოზიციამ შეასრულა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალი პრემიერის დანიშვნა იოლი არ იქნება. ამას, შესაძლოა, რამდენიმე კვირა დასჭირდეს, რადგან პარლამენტში გამოკვეთილი უმრავლესობა არავის აქვს.

გარდამავალ პერიოდში ანუ მანამ, სანამ ახალ პრემიერს აირჩევენ, ლიოვენი, შესაძლოა, პოსტზე დარჩეს.

ერდოღანი გაერო-ს რეფორმირებისაკენ მოუწოდებს

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოვიდა. მან გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირება მოითხოვა.

ერდოღანის აზრით, უსამართლობაა, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი მხოლოდ 5 ქვეყანაა.

თურქეთის პრეზიდენტის აზრით, მსოფლიო უკვე ის აღარაა, რაც 1945 წელს იყო. შესაბამისად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმირება გარდაუვალია. მისი მუდმივი წევრიც არა 5, არამედ ბევრად მეტი ქვეყანა უნდა გახდეს.

მექსიკაში ნარკომაფიოზი პოლიციელები დააკავეს

მექსიკის არმიამ და საზღვაო ქვეითებმა ქალაქ აკაპულკოში სპეცოპერაცია ჩაატარეს. შედეგად დაკავებულ იქნენ პოლიციის მაღალჩინოსნები, რომელთაც ნარკო-კარტელებთან კავშირში ედებათ ბრალი.

ხსენებულ პირთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალიდოსკოპი

ალ პაჩინოს ახალი შეყვარებული ჰყავს



ამერიკელმა მსახიობმა ალ პაჩინომ ახალი შეყვარებული გამონახა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული პორტალი მსახიობთან დაახლოებულ პიროვნებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

პორტალის მონაცემებით, 78 წლის მსახიობი უკვე რამდენიმე თვეა 39 წლის ებრაელ მსახიობსა და მომღერალ მეიტალ დოხენს ხვდება. ისინი არაერთხელ ნახეს ერთად რესტორნებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე.

– თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ საკუთარი ურთიერთობა დაემალათ, მაგრამ ახლა ისინი ამას უკვე აღარ მალავენ, – განუცხადა პორტალს ინფორმირებულმა პირმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

ამავე დროს უცნობია, თუ სად და როდის გაიცნეს ერთმანეთი ალ პაჩინომ და დოხენმა. ამ დროისთვის ებრაელი მსახიობი ლოს-ანჯელესში ცხოვრობს.

ასეულობით შიშველმა ბრიტანელმა ჩრდილოეთის ზღვაში შეცურა

ბრიტანეთის დრერიჯის ყურეში საქველმოქმედო ცურვაში მონაწილეობის მისაღებად რეკორდული რაოდენობის ნუდისტმა ადამიანმა მოიყარა თავი.

შიშველმა ადამიანებმა თავის მოყრა დილის ხუთი საათისთვის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე დაიწყეს. მზის ამოსვლას ისინი თითქმის ორი საათის განმავლობაში ელოდებოდნენ. როგორც კი ჰორიზონტზე მზე ამოიწვერა, 600-ზე მეტი ადამიანი ღრიანცელით შევარდა ყინულივით ცივ წყალში.

ამ ღონისძიების ორგანიზატორმა ჯაქს ჰიგინსმა განაცხადა, რომ დრერიჯის ყურეში ბანაობა ყოველთვის შემოდგომის ბუნიობისადმი იყო მიძღვნილი.

– თუმცა წელს ნუდისტებმა ზღვაში იმ მომენტამდე სულ რამდენიმე საათით ადრე შეცურეს, როდესაც მზე ზეციურ ეკვატორს გადაკვეთდა, – განაცხადა ჰიგინსმა.

ნუდისტები ზედიზედ მეშვიდე წელია, რაც სექტემბერში დრერიჯის ყურეში ბანაობენ. 2012 წლიდან მოყოლებული, ამ ღონისძიებამ 30 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი თანხის შეგროვება მოახერხა და მთელი თანხა გადაეცა საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც ფსიქიკური აშლილობით დაავადებულ ადამიანებს ეხმარება.

მაგიდაში თავით გაჭედილი ბავშვი, ბენზოხერხის დახმარებით გაათავისუფლეს

ბავშვი არ დაშავებულა.

ჩინეთის პროვინცია ჩუეცზიანის ქალაქ ჩზინხუაში მეხანძრეებმა გაათავისუფლეს ბავშვი, რომელსაც თავი მასაჟისთვის განკუთვნილ სპეციალურ მაგიდაში გაეჭედა.

10 წლის ბიჭს ცნობისმოყვარეობამ წასძლია და თავი სახისთვის განკუთვნილ ხვრელში ბოლომდე გაყო. როდესაც თავის უკან გამოძრომა სცადა, ეს ვეღარ მოახერხა.

ბავშვის ამ მდგომარეობიდან დასახსნელად მეხანძრეების გამოძახება გახდა საჭირო. მათ მაგიდა ბენზოხერხით გახერხეს. ამ ოპერაციის შედეგად

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბათუმური ოლიმპიადა სენსაციებით გრძელდება

ბათუმი 2018-ის მეორე ტურში რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. ამათგან ზოგი გუნდურად, ზოგიც ერთეულთა დაფებზე.

მსოფლიო რეიტინგის ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატების ვაჟთა ნაკრები, ვინც ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონი გახლავთ, საქართველოს ვაჟთა მესამე ოთხეულს დაუპირისპირდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამერიკელებმა დიდი ძალისხმევით გაიმარჯვეს – 2,5:1,5, არადა სპეციალისტები იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებდნენ. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის ოლიმპიადაზე პირველად ითამაშა ამერიკელთა ლიდერმა ფაბიანო კარუანამ, რომელიც 9 ნოემბრიდან, ლონდონში მსოფლიოს პირველ ნომერთან ნორვეგიელ მაგნუს კარლსენთან ბრძოლაში ჩაებმევა და მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობას გამოავლენს.

ამერიკელმა დიდოსტატმა, რომლის რეიტინგი სადღეისოდ ძალიან შთამბეჭდავია – 2.827, საერთაშორისო ოსტატის ნოე თუთისანის (2.471) წინააღმდეგობა ვერ დაძლია და მხოლოდ ყაიმს დასჯერდა. ესეც სერიოზული სენსაციური შედეგი და თანაც ქართველი მოჭადრაკის მონაწილეობით.

ჰო, ამ დაპირისპირებაში პირველი სიმბოლური სვლა 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა შეასრულა.

თუთისანის მსგავსად, ყაიმით დაასრულეს პარტიები ნიკოლოზ პეტრიაშვილმა (სემუელ შენკლენდთან 2.722) და ნიკოლოზ კაჭარავამ (რეი რობსონთან 2.682). ამერიკელთაგან მხოლოდ უესლი სომ გაიმარჯვა. მეორე დაფაზე დიდოსტატმა, რომლის რეიტინგი ასევე შთამბეჭდავია – 2776, თეთრი ფიგურებით სძლია ლუკა ობოლაძეს.

საქართველოს საუკეთესო ოთხეულმა კი ფრედ 2:2 ითამაშა ნორვეგიასთან. ვაჟთა პირველ დაფაზე მიხეილ მჭედლიშვილმა გადაინაცვლა, ხოლო მისი ადგილი მეორე დაფაზე ბულგარელმა ივან ჩეპარინოვმა დაიკავა, რომელიც მწვრთნელებმა საწყის ტურში დაასვენეს. სამწუხაროდ, მჭედლიშვილმა თავისი პარტია დათმო. ჩეპარინოვმა გამარჯვებით ანგარიში გაათანაბრა. მეოთხე დაფაზე ჯოჯუამ ყაიმი ითამაშა და შეხვედრის ბედი ლევან ფანცულაიას და სებასტიან-იოჰან კრისტიანსენის შეხვედრაში გაირკვა – მოჭადრაკეები ყაიმზე შეთანხმდნენ. საბოლოოდ, 2:2.

საქართველოს მეორე ნაკრებმა 2,5:1,5 გაიმარჯვა დანიასთან (ლუკა პაიჭაძე-ვანგ იაკობ გლადი 0.5:0.5; დავით მაღალაშვილი-სიმონ იენსენ-ბეიკერი 0.5:0.5; თორნიკე სანიკიძე-მიოლერ ბიორნ ოლშნერი 0.5:0.5; გიგა ყუფარაძე-ბუჰლ იონას ბუერე 1:0).

ვაჟთა შორის მეორე ნომრად განთესილმა რუსეთმა (სერგეი კარიაკინი, იან ნეპომნიაშჩი, ნიკიტა ვიტიუგოვი, დმიტრი იაკოვენკო) ირლანდიას (66) სძლია – 3:1, ხოლო ოლიმპიადის კიდევ ერთმა ფავორიტმა ჩინეთმა კი 3,5:0,5 აჯობა კოლუმბიას.

ოლიმპიადაზე პირველად ითამაშა ლეგენდარულმა ინდოელმა დიდოსტატმა, ბათუმი 2018-ის კეთილი ნების ელჩმა ვიშვანათან ანანდმა (2.771). სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონმა ავსტრიელ მარკუს რაგერს (2.686) მოუგო, ოლიმპიადაზე მე-5 ნომრად განთესილმა ინდოეთმა კი 3,5:0,5 სძლია მეტოქეს.

კიდევ ერთმა ფავორიტმა აზერბაიჯანმა (შახრიარ მამედიაროვი, ტეიმურ რაჯაბოვი, არკადი ნაიდიჩი, რაუდ მამედოვი) 3:1 მოუგო იტალიას.

მოულოდნელი შედეგის გარეშე არც ქალთა ტურნირს ჩაუვლია: ფავორიტი რუსეთის მარცხი უზბეკეთთან – 1,5:2,5 ოლიმპიადის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად უნდა ჩაითვალოს.

რუსეთის ქალთა ოთხეული: ალექსანდრა კოსტენიუკი, ალექსანდრა გორიაჩკინა, ვალენტინა გუნინა, ნატალია პოგონინა – ოლიმპიადის პირველი ნომერია, მეტოქე კი 31-ე ნომრად გახლავთ განთესილი. ამის მიუხედავად, ფავორიტებმა პარტია ვერ მოიგეს: კოსტენიუკმა, გორიაჩკინამ და გუნინამ ქულები გაიყვეს, თეთრი ფიგურებით მოთამაშე პოგონინა კი ნოდირა ნადირიანოვასთან ვერაფერს გახდა.

კონკურენტის მარცხით უმალ ისარგებლეს ქალთა მეორე ნომერმა უკრაინამ (თურქმენეთთან 2,5:1,5) და მესამე ნომრად განთესილმა ჩინეთმა. აზიელებმა 3:1 მოუგეს კოლუმბიელებს.

საქართველოს ქალთა სამმა ნაკრებმა კი ამჯერად ყველა მატჩის მოგება ვერ მოახერხა: პირველმა ოთხეულმა შთამბეჭდავად, 4:0 სძლია ნორვეგიას.

ქალთა ნაკრების პირველ დაფაზე ადგილი ლელა ჯავახიშვილმა დაიკავა, რომელმაც გუშინ თავისი პარტია დათმო და დღეს კიდევ უფრო მეტი მოტივაციით ითამაშა. ჯავახიშვილმა, ისევე, როგორც სხვა მოჭადრაკეებმა, თავისი პარტიები მოიგეს და საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება ჩაიწერა – 4:0.

მეორე გუნდმა სკანდინავიის მეორე წარმომადგენელი შვედეთი დაამარცხა – 3,5:0,5 (სალომე მელია-ინნა აგრესტი 0.5:0.5; ინგა ჭარხალაშვილი-ჯესიკა ბენგსტონი 1:0; სოფიო გვეტაძე-ანჟელინა ფრანსონი 1:0; მირანდა მიქაძე-მარგარიტა ზარიტოვსკაია 1:0).

მესამე ნაკრებმა კი, რომელიც ბათუმში 59-ე ნომრადაა განთესილი, რეიტინგში მე-9 ადგილზე მყოფ გერმანიასთან გაიყო ქულები – ფრე 2:2 (ნინო ხომერიკი-ელიზაბეტ პაეტზი 1:0; მარიამ ჯანიაშვილი-ფილიზ ოსმანოდჟა 0:1; ლილე ქორიძე-სარა ჰოლტი 0.5:0.5; თამარ ესაძე-იუდიტ ფუქსი 0.5:0.5). ესეც პატარა სენსაცია...

ლადო ჩიხრაძე: „დიეგო სიმეონემ მეორე გუნდიდან 5 ფეხბურთელი აგვირჩია“

ქართველი ფეხბურთელების არათუ ტოპ-კლუბებში, არამედ ტოპ-ჩემპიონატებში თამაშითაც კი არ ვართ განებივრებული. ამიტომაც არის, რომ ყველა ახალი და სასიამოვნო ინფორმაცია, სასიამოვნოდ გვესმის. ერთ-ერთი ასეთი მათგანია 17 წლის ლადო ჩიხრაძის მადრიდის ატლეტიკოში ჩარიცხვა.

საბურთალოს აკადემიის აღზრდილი ფეხბურთელი 1 წლის განმავლობაში ატლეტიკოს 18 წლამდელთა გუნდში ითამაშებს. ფორვარდი მეორედ იმყოფება მადრიდში. პირველად ეს 2017 წლის ნოემბერში მოხდა...

ახალგაზრდა ფეხბურთელთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

– რამდენიმე კვირაა მადრიდში იმყოფებით და ატლეტიკოს ასაკობრივ გუნდში ირიცხებით. როგორ შეეწყვეთ?

– ყველაფერი ნორმალურადაა. უცხო გარემოში არ ჩამოვსულვარ. 2017 წლის ნოემბერში ერთი კვირით სტაჟირებაზე ვიყავი. ახლა ისე მოხდა, რომ კიდევ მომიწვიეს და აგრძელებენ ჩემზე დაკვირვებას. ბაზაზე ვცხოვრობ, ჩემთან ერთად ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებიდანაც არიან ფეხბურთელები, თუმცა ლეგიონერი 18 წლამდელთა გუნდში, სადაც ვთამაშობ, არ ჰყავთ. რაც შეეხება სავარჯიშო ბაზას, 10 წუთის სავალზეა. პირველი და ასაკობრივი გუნდები ერთ ბაზაზე ვვარჯიშობთ.

– საწვრთნელ პროცესზე გვითხარით, დიდი დატვირთვებია?

– ძალიან სასიამოვნო ვარჯიშებია, აქცენტი ტექნიკაზეა გადატანილი – ბურთის სწორად მიღება, ერთი ფლანგიდან მეორეზე სწრაფად გადატანა, კვადრატები, კარში დარტყმა. ასევე ხშირია სხვადასხვა კომბინაციის დამუშავება.

– ფიზიკური დატვირთვები?

– შაბათ-კვირას ოფიციალური მატჩებია. ისე ხდება, რომ დატვირთვები ორშაბათ-ბითთაა, სამშაბათს გუნდი ისვენებს ხოლმე, დანარჩენ დღეებში კი ბურთთან მიდის მუშაობა.

– ატლეტიკოს ასაკობრივ გუნდში რამდენმდე დარჩებით?

– 1 წელი აქ ვიქნები, ამ ხნის განმავლობაში კარგად დამაკვირდებიან და ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, თუ კარგად წარმოვაჩინე თავი, შემეძლება, რომ კარიერა ევროპის ერთ-ერთ წამყვან კლუბში გავაგრძელო.

– შარშანაც იყავით ატლეტიკოში, მაგრამ მოკლე დროით. ალბათ ახლა უფრო გაგიადვილდებოდათ?

– ჩამოსვლისას რამდენიმე ძველმა გუნდელმა მიცნო, ძალიან თბილად მიმიღეს. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს სტაჟირებაზე ერთი კვირის განმავლობაში ვიყავი, ბევრს დავამახსოვრდი. შეიძლება ითქვას, უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ.

– ენის პრობლემა არ გაქვთ?

– საქართველოში ყოფნისას ესპანურ ენას ვსწავლობდი, რაღაც დონეზე ვიცი ესპანური და მესმის, რას ლაპარაკობენ. წიგნებიც მაქვს წამოღებული, თუ რამე ვერ გავიგე, წიგნებით ვხელმძღვანელობ. იმედი მაქვს, მალე უკეთესად მეცოდინება ენა.

– ცოტა ხნის წინ, ატლეტიკოს მთავარ გუნდშიც მოგიწიათ ვარჯიში.

– ეიბართან 1:1 თამაშის მერე, ატლეტიკოს მთავარ გუნდს ვარჯიში ჰქონდა. მწვრთნელმა რამდენიმე მათგანი დაასვენა. სრულყოფილი ვარჯიში რომ ჩატარებულიყო, დიეგო სიმეონემ 18 წლამდელთა გუნდიდან 5 ფეხბურთელი დაამატა, მათ შორის მეც. ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვერც წარმომედგინა, რომ ასეთი დონის ვარსკვლავებთან მომიწევდა ვარჯიში. ძალიან ემოციური და ისტორიული დღე იყო. რაც შეეხება მეორე ვარჯიშს – მთავარი გუნდი ერთ-ერთი მატჩისთვის ემზადებოდა. ასე ვთქვათ, ორმხრივი მატჩი ვითამაშეთ ბაზაზე.

ქართველი კალათბურთელები სეზონს შედეგიანად ხვდებიან

უახლოეს უქმეებზე ევროპის ქვეყნებში საკალათბურთო ჩემპიონატები იწყება და ქართველი კალათბურთელებიც უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საქმეში. მანამდე ჩვენმა ლეგიონერებმა მოსამზადებელი თუ საერთაშორისო ტურნირების მატჩები ითამაშეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების და ბასკონიას კალათბურთელმა, თორნიკე შენგელიამ ალბა ბერლინის წინააღმდეგ ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და თავისი გუნდის მოგებაში (87:77) დიდი წვლილი შეიტანა.

შენგელიამ პარკეტზე 17 წუთი გაატარა, რა დროშიც 17 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა.

გიორგი შერმადინმა კი, ანდალუზიის თასი მოიგო. ეს არაოფიციალური, წინასასეზონოდ მოსამზადებელი მინიტურნირია, რომლის ფინალშიც ქართველი ცენტრის უნიკახამ ბეტისი 102:65 გაანადგურა.

ქართველი ცენტრი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 16 წუთში 11 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 10-დან 5 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

„ტოიოტას თასის“ ეგიდით ითამაშა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის, თად მაკფადენის იბეროსტარმა.

ტენერიფელებმა გრან კანარიას 79:71 სძლიეს. მაკფადენი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 22 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. თადმა 3-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო გამოიყენა.

19 წლის გოგა ბითაძემ კი, რუსულ სპარტაკ პრიმორიეს 17 ქულა ჩაუგდო, ქართველი ლეგიონერის გუნდმა მეგა ბიმაქსმა კი, მეტოქე 105:78 გაანადგურა. ეს გახლდათ სერბული კლუბის ბოლო მოსამზადებელი მატჩი სეზონის გახსნამდე.

ბითაძემ მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. 17 ქულასთან ერთად ქართველის ანგარიშზე 7 მოხსნა და 4 დაფარება დაგროვდა. გოგა ბითაძის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 29 ერთეული შეადგინა და ეს მაჩვენებელი მატჩში საუკეთესო იყო.

საქართველომ გერმანია ორჯერ დაამარცხა

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიაში 2 ამხანაგური მატჩი გამართა. ავთანდილ ასათიანის გუნდმა ჰამბურგში გერმანიის ნაკრებს პირველად 4:2 მოუგო. შეხვედრაში ანგარიში რონინიომ გახსნა. მასპინძელთა კარში თითო გოლი აგრეთვე კურტანიძის, სიმი საიოტისა და თოდუას ანგარიშზეა.

პირველის მსგავსად მეორე მატჩიც ავთანდილ ასათიანის გუნდის უპირატესობით წარიმართა და დამაჯერებელი გამარჯვებით – 3:1 დასრულდა. ანგარიში სიმი საიოტის გოლით გაიხსნა, მეტოქის კარში გატანილი კიდევ ორი გოლი კი თოდუასა და ფუმასას ანგარიშზეა.

გერმანიის წინააღმდეგ გამართული ამხანაგური მატჩები საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა.

ოფიციალური მატჩების გამართვამდე, ჩვენი გუნდი კიდევ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. 29-30 ოქტომბერს, საქართველოს ნაკრები ლატვიაში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირზე მიიღებს მონაწილეობას.

შედეგები

25 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

ბარტონი-ბარნლი 2:1
ბლექპული-ქპრ 2:0
ბორნმუთი-ბლექბერნი 3:2
ვულვზი-ლესტერი ..... 0:0(1:3პ)
მილუოლი-ფულემი 1:3
ოქსფორდი-სიტი 0:3
პრესტონი-მიდლსბრო ..... 2:2(3:4პ)
უიკომბი-ნორვიჩი 3:4
ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი 0:3
მანჩესტერი-დერბი ..... 2:2(7:8პ)

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ეიბარი 1:0
სოსიედადი-რაიო 2:2
ატლეტიკო-უესკა 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	5	4	1	0	16:5	13
2.რეალი	5	4	1	0	12:3	13
3.ატლეტიკო	6	3	2	1	8:4	11
4.ალავესი	5	3	1	1	8:5	10
5.ესპანიოლი	6	3	1	2	6:4	10
6.სელტა	5	2	2	1	10:8	8
7.სოსიედადი	6	2	2	2	9:9	8
8.ხირონა	5	2	2	1	7:8	8
9.სევილია	5	2	1	2	10:6	7
10.ხეტაფე	5	2	1	2	4:4	7
11.ეიბარი	6	2	1	3	5:7	7
12.ბილბაო	4	1	3	0	7:6	6
13.ბეტისი	5	1	3	1	3:5	6
14.ვილიარეალი	5	1	2	2	2:3	5
15.ვალენსია	5	0	4	1	3:5	4
16.ლევანტე	5	1	1	3	8:11	4
17.რაიო	5	1	1	3	5:12	4
18.უესკა	6	1	1	4	6:16	4
19.ვალიადოლიდი	5	0	3	2	3:5	3
20.ლეგანესი	5	0	1	4	4:10	1

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ჰერტა 3:1
ბაიერნი-აუგსბურგი 1:1
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი 1:3
ფრაიბურგი-შალკე 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	5	4	1	0	12:3	13
2.ვერედერი	5	3	2	0	10:6	11
3.ჰერტა	5	3	1	1	10:7	10
4.დორტმუნდი	4	2	2	0	8:3	8
5.ჰოფენჰაიმი	5	2	1	2	9:8	7
6.ვოლფბურგი	4	2	1	1	8:7	7
7.გლადბახი	4	2	1	1	7:6	7
8.მაინცი	4	2	1	1	4:3	7
9.ფრაიბურგი	5	2	1	2	8:9	7
10.ნიურნბერგი	4	1	2	1	4:3	5
11.ფორტუნა	4	1	2	1	4:4	5
12.აუგსბურგი	5	1	2	2	7:8	5
13.ლაიპციგი	4	1	2	1	6:8	5
14.აინტრახტი	4	1	1	2	5:6	4
15.ლევერკუზენი	4	1	0	3	3:8	3
16.შტუტგარტი	4	0	2	2	3:7	2
17.ჰანოვერი	5	0	2	3	4:9	2
18.შალკე	5	0	0	5	2:9	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-დინამო 0:1
დარმშტადი-არმინია 1:2
კიოლნი-ინგოლშტადი 2:1
უნიონი-კილი 2:0

იტალია. სერია ა

ინტერი-ფიორენტინა 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	5	5	0	0	11:4	15
2.ნაპოლი	5	4	0	1	9:7	12
3.ფიორენტინა	6	3	1	2	12:5	10
4.სასუოლო	5	3	1	1	12:8	10
5.ინტერი	6	3	1	2	8:5	10
6.ლაციო	5	3	0	2	7:5	9
7.სპალი	5	3	0	2	4:4	9
8.უდინეზე	5	2	2	1	6:4	8
9.სამპდორია	5	2	1	2	9:3	7
10.პარმა	5	2	1	2	6:5	7
11.ჯენოა	4	2	0	2	7:10	6
12.ატალანტა	5	1	2	2	9:8	5
13.მილანი	4	1	2	1	7:7	5
14.რომა	5	1	2	2	7:9	5
15.ტორინო	5	1	2	2	5:7	5
16.კალიარი	5	1	2	2	4:7	5
17.ემპოლი	5	1	1	3	4:6	4
18.ბოლონია	5	1	1	3	2:5	4
19.ფროზინონე	5	0	1	4	0:12	1
20.კიევო	5	0	2	3	5:13	-1

შენიშვნა: კიევო დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბრეშა-პალერმო 2:1
ვერონა-სპეცია 2:1
ლივორნო-ლეჩე 0:3
პერუჯა-კარპი 0:1
პესკარა-კროტონე 2:1
სალერნიტანა-ასკოლი 1:1
ჩიტადელა-ბენევენტო 0:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონაკო-ანჟე 0:1
ნანტი-ნიცა 1:2
ტულუზა-სტ.ეტიენი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	6	6	0	0	20-5	18
2.ლილი	6	4	1	1	11-5	13
3.სტ.ეტიენი	7	3	3	1	8-9	12
4.მონპელიე	6	3	2	1	6-4	11
5.ტულუზა	7	3	2	2	8-10	11
6.მარსელი	6	3	1	2	16-11	10
7.ლიონი	6	3	1	2	10-6	10
8.დიჟონი	6	3	1	2	9-6	10
9.ანჟე	7	3	1	3	9-9	10
10.ნიცა	7	3	1	3	6-9	10
11.სტრასბური	6	2	2	2	9-8	8
12.ნიმი	6	2	2	2	13-13	8
13.რეიმსი	6	2	2	2	3-5	8
14.რენი	6	2	1	3	8-10	7
15.ბორდო	6	2	1	3	9-11	7
16.მონაკო	7	1	3	3	8-9	6
17.კაენი	6	1	3	2	7-9	6
18.ნანტი	7	1	2	4	7-12	5
19.ამიენი	6	1	1	4	8-11	4
20.გენგამი	6	0	0	6	4-17	0

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

უეფა და პსჟ სამართალს კიდევ ერთხელ გაარკვევენ

უეფა არ ეშვება ფრანგულ პარი სენ-ჟერმენს და ერთხელაც აპირებს მისი საქმიანობა და ფინანსები საბოლოოდ შეისწავლოს. ფეარ პლეის პრინციპების დარღვევის გამო პსჟ ადრე შეისწავლეს, მაგრამ დანაშაული ვერ აღმოუჩინეს და დასჯას გადაურჩა.

ევროპული ფეხბურთის შეფებმა გადაწყვიტეს, გამოიკვლიონ ფრანგული გრანდის ფინანსები და გადახედონ თავიანთ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პსჟ-ს ფინანსური ფეარ პლეი არ დაურღვევია. უეფაში ოფიციალურად დაადასტურეს, რომ პარიზული გრანდის ფინანსების კიდევ ერთხელ შემოწმება უკვე გადაწყვეტილია.

ეჭვი იმის შესახებ, რომ პსჟ, შესაძლოა, ფინანსურ ფეარ პლეის არღვევდეს, მას შემდეგ გაჩნდა, რაც ფრანგულმა კლუბმა ნეიმარი და კილიან მბაპე გადაიბირა. ცნობილია, რომ კლუბის პრეზიდენტმა ნასერ ალ-ხელაიფიმ ორივე სუპერვარსკვლავის სანაცვლოდ ჯამში 400 მილიონი ევრო გადაიხადა.

ფინანსური ფეარ პლეის მიხედვით, კლუბს მხოლოდ იმდენის დახარჯვის უფლება აქვს, რამდენსაც მიიღებს. ეს კანონი მოქმედებს მაშინაც, როცა კლუბს რომელიმე მდიდარი პიროვნება ან აქციონერი აფინანსებს. კლუბებს, რომლებიც უეფას ტურნირებში მონაწილეობენ, 3 წლის განმავლობაში მაქსიმუმ 30-მილიონიანი დეფიციტის უფლება აქვთ.

უეფამ პსჟ-ს პირველი განაჩენი 13 ივნისს გამოუტანა, სადაც ნათქვამი იყო, რომ პარიზულ კლუბს დარღვევა არ აქვს და არც სასჯელს იმსახურებს. ახლა კი, კლუბის ფინანსები ხელმეორედ შემოწმდება.

მანჩესტერის ბოსების მორიგი დაპირება

მანჩესტერ იუნაიტედის აღმასრულებელმა დირექტორმა ედ ვუდვორდმა კლუბის ფინანსური შედეგების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, იუნაიტედში ყველაფერი კეთდება, რათა უტიტულო სეზონის შემდეგ კლუბმა წარმატებულად იასპარეზოს.

შეგახსენებთ, წინა სეზონში მანჩესტერ იუნაიტედი პრემიერ ლიგის ჩემპიონ მანჩესტერ სიტის სატურნირო ცხრილში მთელი 19 ქულით ჩამორჩა, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში კი ჟოზე მოურინიოს გუნდი ჩელსისთან დამარცხდა. ამის მიუხედავად, კლუბმა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში მხოლოდ 3 ფეხბურთელი დაიმატა. პორტუგალიელ სპეციალისტს შემადგენლობის კიდევ 2 ფეხბურთელით გაძლიერება სურდა, მაგრამ საბოლოოდ, ეს არ გამოვიდა.

ახალი სეზონი მანკუნიანელებისთვის წარუმატებლად დაიწყო. 3 სასტარტო შეხვედრიდან იუნაიტედი 2-ში დამარცხდა და 7 გოლი გაუშვა – 1969 წლის შემდეგ ამ სეზონის სტარტი ყველაზე ცუდი გამოდგა. პლუს, გუნდი ლიგის თასზე გამოეთიშა და თანაც ქვედალიგელ დერბისთან დამარცხდა საშინაო არენაზე.

ამავდროულად, ფინანსური შედეგების მიხედვით, იუნაიტედმა ბოლო 3 თვეში 590 მილიონი ევროს სახით რეკორდული შემოსავლები მიიღო.

ვუდვორდი გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ ეს სატრანსფერო ბაზარსა და კლუბის კონკურენტუნარიანობაზე აისახება.

ედ ვუდფორდი:

– კლუბში ყველა თავდაუზოგავად ვმუშაობთ, რათა მანჩესტერ იუნაიტედმა 66-ე, ხოლო ჟოზე მოურინიომ 25-ე ტიტული მოიგოს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებთან ერთად ჩვენი აკადემიის გაწვრთნილებმა ითამაშონ. წინა სეზონში ჩვენი აკადემიის აღზრდილმა მოთამაშეებმა მინდორზე უფრო მეტი დრო გაატარეს, ვიდრე პრემიერ ლიგის ნებისმიერი სხვა კლუბის აღზრდილებმა. ჩვენი გაზრდილი შემოსავლები საშუალებას მოგვცემს, უფრო ძლიერები ვიყოთ ფინანსური თვალსაზრისით, რაც სატრანსფერო ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს გაგვხდის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვერსაჩე 2 მილიარდ დოლარად გაიყიდა

იტალიური მოდის სახლი Versace დათანხმდა Michael kors-თან 2 მილიარდ დოლარად მიყიდვის გარიგებაზე.

ერთ-ერთი გამოცემა ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ შეთანხმების ოფიციალური ხელმოწერა 25 სექტემბერს შედგა.

აღსანიშნავია, რომ Versace ამერიკულ კერძო სააქციონერო კომპანია Slackstone-თან ერთად გაიყიდა, რომელიც მისი წილის 20 პროცენტის ფლობელი 2014 წელს გახდა.

Michael kors-ს და Versace-ს წარმომადგენლებმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს.

სამი დღის ჩვილი მორიელის ნაკბენებს გადაურჩა

ბრაზილიაში ახალ დაბადებული ბავშვი მორიელის შვიდი ნაკბენის შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

ინციდენტი ბაიას შტატში მოხდა. 25 წლის ფერნანდა ფერერიამ თავისი სამი დღის გოგონა სოფია აბანავა, პამპერსი გამოუცვალა და ვერ შენიშნა, რომ მასში მორიელი იყო მოკალათებული, რომელიც „მკვლელი მონადირის“ სახელითაა ცნობილი. მისი კბენის შემდეგ ბავშვი ატირდა, პირიდან კი ქაფი გადმოუვიდა. ფერნანდამ გოგონა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანა.

– ბავშვი საკვებზე უარს ამბობდა და გაჭირვებით სუნთქავდა. მეგონა, რომ მას რეფლიუქსი ჰქონდა, – განაცხადა ბავშვის დედამ.

ექიმებმა პამპერსი მოხსნეს და ჩვილის უკანალზე მორიელი აღმოაჩინეს, რომელსაც სოფიასთვის შვიდჯერ კბენა მოესწრო. მას შხამის საწინააღმდეგო წამლის ექვსი დოზა გაუკეთეს. ექიმმა კამილა მირანტემ აღიარა, რომ ნანახმა ის შოკში ჩააგდო.

– ძალიან შევშინდი, როდესაც ბავშვს პამპერსი მოვხსენი და მორიელი დავინახე! პანიკამ შემიპყრო და მივხვდი, რომ ამ არსების ძალიან მეშინოდა, ამიტომ მისი მოშორება დაცვის სამსახურის თანამშრომელს მოუხდა, – განაცხადა მირანტემ.

სოფიამ საავადმყოფოში სამი დღე რეანიმაციაში გაატარა, შემდეგ ის ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს და სამი კვირის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელებული სახლში გაწერეს.

მსოფლიოს გარშემო მცურავი იახტსმენი ინდოეთის ოკეანეში გადაარჩინეს

იახტსმენი აბჰილაშ ტომი, რომელმაც ზურგის სერიოზული ტრავმა მიიღო, ინდოეთის ოკეანეში გადაარჩინეს.

მამაკაცი მსოფლიოს გარშემო მარტოდ მარტო რბოლაში მონაწილეობდა და თვრამეტ მონაწილეს შორის მესამე ადგილზე იმყოფებოდა, როდესაც ქარიშხალში მოჰყვა. ტალღებმა მისი იახტა 360 გრადუსით დაატრიალა და ორივე ანძა მოუტეხა. 39 წლის ინდოეთის სამხედროსაზღვაო ფლოტის კაპიტანმა ისე დაიზიანა ზურგი, რომ ფეხზე ადგომას ვეღარ ახერხებდა, თუმცა ხელებით გადაადგილებას მაინც ცდილობდა. თავდაპირველად მან იახტიდან წითელკოდიანი სიგნალი გააგზავნა.

სამი დღის შემდეგ ის ფრანგულმა მეთევზეთა გემმა აიყვანა. სამაშველო ოპერაციას ავსტრალია ხელმძღვანელობდა, ვინაიდან ინდოელის იახტა ყველაზე ახლოს სწორედ ამ ქვეყნის სანაპიროსთან იმყოფებოდა, ქალაქ პერტიდან სამი ათას კილომეტრში. მაშველების გამოჩენამდე ტომის თავი ცივი ჩაით გაჰქონდა.

ხულიგანმა მოსწავლემ მოზარდი ყველით მოკლა

ლონდონის სასამართლომ მოსწავლის დაღუპვის გამოძიების შედეგები მოისმინა. ის მეორე მოსწავლის მიერ ნასროლმა ყველმა იმსხვერპლა.



13 წლის კარანბირ ჩიმას ალერგია ჰქონდა ხორბალზე, კვერცხზე, კაკალზე და რძის პროდუქტებზე, მას ასევე ანუხებდა ასთმა და ატოპიური დერმატიტი. მის კანზე ყველის შეხებას დაუყოვნებლივი ალერგიული რეაქცია მოჰყვა. მოზარდის კანი გაწითლდა, დაეწყო გულისრევა და სულის ხუთვა.

ადგილზე სასწრაფოს მისვლის დროს ის ძლივსღა სუნთქავდა. მას ანტიგისტამინური წამალი, ეპიპენი და ინგალატორი გაუკეთეს. ამის მიუხედავად, მან სუნთქვა შეწყვიტა.

ექიმები მის რეანიმირებას ხელოვნური სუნთქვის, გულის მასაჟის, ადრენალინის და დეფიბრილიატორის ინექციის დახმარებით შეეცადნენ. შემდეგ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ის ათი დღის შემდეგ გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ამის შემდეგ იმავე სკოლის მეორე მოსწავლე დააპატიმრეს, რომელიც ასევე 13 წლისაა. ის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, თუმცა ბრალდება აღარ წაუყენეს.

ქალმა თავი კიბოთი დაავადებულად გაასაღა და ათასობით დოლარი შეაგროვა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ კეროლაინ-სპრინგზის მკვიდრ ქალბატონს სისხლის სამართლის სასჯელი ემუქრება შემოწირულობების თაღლითობით შეგროვებისთვის.

26 წლის ქალი ორი თვის განმავლობაში ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს უყვებოდა, რომ ღვიძლის კიბო ჰქონდა. ბევრმა თანხმობა განაცხადა, მისთვის ფულადი დახმარება გაეწია და მას ნაღდ ფულს სთავაზობდნენ ან ბანკის ბარათზე ურიცხავდნენ. ასეთი საშუალებით მან ცხრა ათასზე მეტი ავსტრალიური დოლარის შეგროვება შეძლო.

როდესაც მისი სიცრუე გამჟღავნდა, მომხდარით სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ. ქალს თაღლითობის ბრალდება წაუყენეს. ამჟამად პოლიცია დაზარალებულების მოძიებითაა დაკავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 სექტემბისათვის

ვერძი – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობას გაგირთულებთ. იყავით უფრო ლმობიერი. **კურო** – ემოციებს ნუ აჰყვებით. სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსური ოპერაციების დროს. **ტყუპები** – პასიური დღეა. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი თვალსაზრისის დაცვა ნებისმიერ სიტუაციაში აუცილებელია. **კირჩხიბი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობისათვის. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **ლომი** – მოვლენების დაჩქარება არასასურველ შედეგს გამოიღებს. როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. **ქალწული** – არ არის საჭირო, თქვენი ჩანაფიქრი სხვებს გაანდოთ. მოსალოდნელია მცირედი პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ. **სასწორი** – შესაფერისი დღეა საქმიანი გარიგებებისათვის. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, ძველ, ნაცად ხერხებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. თუ კეთილგონიერებას გამოიჩენთ, მრავალ უსიამოვნებას აირიდებთ. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია. ჰარმონიული, გაწონასწორებული დღეა. **თხის რქა** – ნურაფერს დაგეგმავთ. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **ვერნყული** – საქმიანი შეხვედრები, მივლინებები იღბლიანად წარიმართება. თქვენი სოციალური მდგომარეობაც უმჯობესდება. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ახალ შემოთავაზებებს დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ჯინისა და რომის გასაზავებელი გაზიანი, უალკოჰოლო სასმელი; 2. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 3. მთიანეთი ჩრდილო ამერიკაში; 4. ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის ძველი სახელწოდება; 5. ციმბირში გავრცელებული ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 11. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია დედოფლის რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 12. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 13. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. აეროპორტი ტოკიოში; 17. აფრიკული მაიმუნი; 19. ფეხბურთელთა სპორტული ფეხსაცმელი.

თარაზულად: 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. კვერცხის გულით წებოსა და ზეთის ხსნარით დამზადებული სახატავი საღებავი; 8. ყურანის თითოეული თავი; 9. ქალის ძვირფასთვლებიანი ყელსაბამი; 10. მეფის მცველი საქართველოში; 11. ქორწინებისა და ერთგული ცოლების მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ფრანგი შანსონიე ქალი; 16. შიგაწვის ძრავის მოძრავი ნაწილი; 18. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 20. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასასჯელად; 21. ექსპონატის, ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბედია; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. დილა; 5. ვეძა; 6. ბიბლისი; 9. მანდარინები; 10. ანტრაციტი; 11. კოპიტნარი; 14. სიდრი; 16. ქაოსი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. ქერჩი; 25. შხამი; 26. კინო.

თარაზულად: 7. სამშვილდე; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნი; 13. ლობიო; 15. როდეო; 17. დეპორტივო; 19. კონტე; 21. აგუტი; 22. ბროლი; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლაღიძე; 2. მირაჟი; 3. სმეტანა; 4. დიადემა; 5. სუფიქსი; 7. არქტიკა; 11. ჟესტი; 12. ჩონჩხი; 13. ვიმპელი; 14. გლობუსი; 15. ბათუმი; 17. აგუერო; 19. ჯიდა.

თარაზულად: 5. სანაცია; 6. კალმარი; 8. ჟოქო; 9. დანტე; 10. ქაშერი; 11. ჟირო; 13. ვაპორეტო; 14. გესლი; 16. პანჩი; 18. რუპია; 20. საყდარი; 21. მაკრონი.

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეები ცნობილია

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ სულ მალე მერვე სეზონს დაიწყებს. ტელეკომპანია „იმედმა“ სპეციალურად შოუსთვის მომზადებული ვიდეორგოლი გაავრცელა, რომელშიც მაყურებელს მონაწილე ვარსკვლავების ნახვის საშუალება მისცა.

პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად მერვე სეზონში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ქართველი ვარსკვლავები: მომღერლები მარიკა თხელიძე, ნინო ჩხეიძე, რატი დურგლიშვილი, დათო გომართელი, იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე, ჟურნალისტი ლალი მოროშკინა, გიორგი გილიგაშვილი, იგივე „ჩემმა მზემ“, ირინკა კავსაძე – კახი კავსაძის შვილიშვილი, ტელეწამყვანი თორნიკე კვერენჩხილაძე.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ სარეკლამო რგოლის გადაღებები მცხეთაში, რესტორან გუჯარში მიმდინარეობდა.

შოუს მონაწილეებიდან ყველაზე დიდი ინტერესი პროექტში ლალი მოროშკინას გამოჩენამ გამოიწვია. თავის მხრივ ლალიმ განმარტა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობა მისთვის სამოქალაქო პოზიცია და საპროტესტო მუხტია:

– თავს უფლება მივეცი მიმეღო მონაწილეობა ისეთ ამბიციურ პროექტში, როგორიც „ცეკვავენ ვარსკვლავებია“. ეს ჩემი სამოქალაქო პოზიცია და საპროტესტო მუხტია უსამართლობის წინააღმდეგ, ჩემი მხარდაჭერაა ჩვენი თაობის ქალბატონების, რომლებმაც საკუთარ მხრებზე, მძიმე ემიგრაციით და თავდაუზოგავი ბრძოლით დუხჭირ ცხოვრებასთან ჭიდილით მოიტანეს დღევანდელი საქართველო!

ჩემი პროტესტია ნარკომანიის და ერის გადაშენების წინააღმდეგ.

ჩემი გვერდში დგომაა ყველა იმ ადამიანის, რომლებმაც ომები, უსამართლობა და გისოსებიანი საქართველო გაიარა...

ყოველი ჩემი საკონკურსო ცეკვა კონკრეტული, თემატური პროტესტი იქნება! შევხვდებით 8 ოქტომბერს იმედის არხზე! ცეკვა ბრძოლაა და არა გართობა!

ჯანო იზორია ფოთში „პირველი მერცხლის“ გმირების ქანდაკებების დადგმას ითხოვს

მსახიობი ჯანო იზორია ნანა მჭედლიძის ფილმის „პირველი მერცხლის“ გმირების ქანდაკებების დადგმას ქალაქ ფოთში ითხოვს:

– ერთი ფრიად საინტერესო იდეით ჩამოვედი ქალაქში მეგობრებთან ერთად. იდეა თეორიულად და პრაქტიკულად დავანახეთ, ავუხსენით ფოთის თვითმმართველობას.

ეს იყო „პირველი მერცხლის“ გმირების ქანდაკებები, რომელიც 11 ფიგურისაგან შედგება. როდესაც ვამთავრებდი თეატრალურ უნივერსიტეტს, ჩემს მაესტროს რეზო ჩხეიძეს ვუთხარი, ბატონო რეზო, ნანა მჭედლიძის ფილმის ბოლო ეპიზოდი წარმოვიდგინე ქანდაკებებად-თქო. აბა ულაააა.. სიმღერის ეპიზოდი სტოპკადრად. ძალიან მოეწონა, მერე სხვა კომპეტენტურ პიროვნებებსაც ვკითხეთ და მოეწონათ. სამჯერ, სამჯერ, სამჯერ ჩამოვედი ჩემს მეგობრებთან ერთად თბილისიდან, არავინ არ იყურადა.

ბათუმში შოთა რუსთაველის ბარელიეფი შეურაცხყვეს

ბათუმში შოთა რუსთაველის ბარელიეფი შეურაცხყვეს. აჭარის მწერალთა სახლის კუთვნილი ბარელიეფი ქუჩაში აღმოჩნდა, რომელზეც ძაღლებმა მოისაქმეს:

– ფოტოებზე ხედავთ შოთა რუსთაველის ბარელიეფს. ამ იდეის ავტორი უნდა ჩაარჭო თავით მანდვე.

ეს ბარელიეფი არის თუ არ ვცდები ლითონის, ძალიან მძიმეა, თორე მე ავიღებდი ეხლავე!

მოკლედ, მინდა ამ ფოტოებმა ლაშა კომახიძისა და სულიკო თებიძის თვალებამდე მიაღწიოს, რათა ნახონ თუ როგორ აჯვამს და აფსამს ძაღლი და ადამიანი ერთად „დიდი შოთა რუსთაველის ბარელიეფს“.

სასწრაფოდ მოახდინეთ რეაგირება და გაარკვიეთ, „დიდი შოთას“ ეს ბარელიეფი, რომელიც დამონტაჟებული იყო და ეკუთვნოდა „აჭარის მწერალთა კავშირის“, აქ საიდან მოხვდა?!“

მოგვიანებით დაიგეგმა საპროტესტო აქცია მომხდარის დაუყოვნებლივ გამოსწორებასთან დაკავშირებით.

აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა შოთას ბარელიეფთან დაკავშირებით უახლესი ინფორმაცია გაავრცელა:

– მინდა ახალი დეტალები გაგაცნოთ შოთა რუსთაველის ბარელიეფთან დაკავშირებით, თუ როგორ აღმოჩნდა ის ამ სიტუაციაში, რასაც ფოტოზე ხედავთ.

ორი დღის წინ ფეისბუქზე დაიდო ფოტო, სადაც შოთა რუსთაველის ბარელიეფი იყო აღბეჭდილი სრულიად მიუღებელ მდგომარეობაში, რის შემდეგაც პირადად მივედი ადგილზე და დავრწმუნდი მდგომარეობის სინამდვილეში.

ამის შემდეგ დავდე სტატუსი და მოვითხოვე ქალაქის ხელმძღვანელობისაგან რეაგირება და დავაანონსეთ შეკრება მეორე დღეს ანუ გუშინ. აქციამდე რამდენიმე საათით ადრე გავედი იგივე ადგილას, სადაც უკვე აღარ დამხვდა რუსთაველის ბარელიეფი, რის შემდეგაც დავიწყე გარკვევა ახლოს მდებარე კაფე-ბარში, თუ ვინ, ან როდის აიღო ზემოაღნიშნული რუსთაველის ბარელიეფი.

აღმოჩნდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია და ადგილი ჰქონდა თვითნებურ ქმედებას! კონკრეტულმა პიროვნებამ ირაკლი ძნელაძემ, რომელიც ალბათ ერთ-ერთი მეწილეა ამ კაფე-ბარის, ეს ბარელიეფი მისი შეხედულებისამებრ განათავსა იქ, სადაც მე ვნახე, რომელიც მეორე დღეს, დილითვე მისი ხელით აიღო და შეიტანა კაფე-ბარში.

ამის შემდეგ დავინტერესდი ბარელიეფის წარმომავლობით და გაირკვა, რომ აღნიშნული ბარელიეფი რემონტამდე იყო დამონტაჟებული „აჭარის მწერალთა კავშირის“ შენობაზე და რემონტის შემდეგ ეს ბარელიეფი და „კარები“, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, გადაგდებული იქნა ნაგავში „აჭარის მწერალთა კავშირის“ მიერ.

ჩემ კითხვაზე, თუ საიდან აღმოჩნდა მის ხელში მწერალთა კავშირის საკუთრება, მიპასუხა: სანაგვეში ეგდო რუსთაველის ბარელიეფი და ეს კარები, რომელიც აჭარის მწერალთა კავშირმა გადააგდო, მე კი ამოვიღე გავასუფთავე და აქ მოვიტანეო.

ამის შემდეგ დავიწყე გარკვევა, თუ რატომ და რა უფლებით გადააგდო შოთა რუსთაველის ბარელიეფი და ის ანტიკვარი კარები აჭარის მწერალთა კავშირმა და აღმოვაჩინე, რომ მწერალთა კავშირს ეს ორი ნივთი არ გადაუგდია, პირიქით, ეს ორი ნივთი და სხვა ნივთებიც ბატონ კაკო ძნელაძეს მოუთხოვია იმ მიზეზით, რომ რემონტს იწყებს იგივე ბრიგადა ბათუმის დრამატული თეატრის და იქ დაგვჭირდებაო!.... რის შემდეგაც მწერალთა კავშირმა გაატანა ეს ორი ნივთი კი არა, სხვა კიდევ ბევრი ნივთი ბატონ დეპუტატს!

შეგახსენებთ, კაკო ძნელაძე მაშინ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ, რომელიც მამაა ირაკლი ძნელაძის!

მოკლედ, ასე აღმოჩნდა რუსთაველის ბარელიეფი უღირს მდგომარეობაში.

ჩემ მეგობრებთან ერთად, მწერალთა კავშირთან შეთანხმებით ვიწყებთ ამ ნივთების უკან დაბრუნების პროცესს. იმედი მაქვს, ბევრი ბათუმელი დაგვიდგება გვერდით.

ვითხოვთ, განმარტება გააკეთოს ბატონმა კაკო ძნელაძემ, თუ რატომ წამოიღო ეს ნივთები მწერალთა კავშირიდან და რატომ აღმოჩნდა ეს ნივთები საერთოდ სხვა სიტუაციაში?

ასევე საინტერესოა პასუხი კითხვაზე, ვინ მისცა უფლება ბატონ ძნელაძეს, რომ განკარგოს ქალაქისა და სახელმწიფოს ქონება პირადი სარგებლობის მიზნით? ვიმედოვნებ, ყველა კითხვას გასცემს პასუხს ბატონი კაკო ძნელაძე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

აფრიკელმა ოპერაციის მოლოდინში ოთხი დღე თავში დანაგაყრილმა გაატარა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მამაკაცმა ოპერაციის მოლოდინში ოთხი დღე თავში 10 სანტიმეტრამდე ჩარჭობილი დანის პირით იცოცხლა.

ინციდენტი ქალაქ იოჰანესბურგში მოხდა. 25 წლის ნასვამი აფრიკელი ბარში ჩხუბში ჩაერთო. ის მეგობრის დაცვას ცდილობდა, რა დროსაც მოწინააღმდეგემ მას მარცხენა თვალის მიდამოში დანის პირი ჩაარჭო. ამის შემდეგ მამაკაცი სახლში დასაძინებლად წავიდა. მოგვიანებით მას მეგობრებმა მიაკითხეს და ექიმთან მისვლაზე დაითანხმეს. თავად მას აღარ ახსოვდა, რომ სახეში დანა ჩაარტყეს. მან ექიმს მხოლოდ თავის ტკივილის და მარცხენა თვალის არეში თვალის ამოძრავებისას უსიამოვნო შეგრძნების გამო შესჩივლა.

რენტგენოგრაფიამ აჩვენა, რომ მამაკაცს თავში დანის პირი ჰქონდა ჩარჭობილი. ის არ მოძრაობდა, ვინაიდან ძვალი აკავებდა. მას მთელი დღის ლოდინი დასჭირდა, სანამ საავადმყოფოში საწოლი განთავისუფლდებოდა, შემდეგ კიდევ ორი იცდიდა ანგიოგრაფიის – სისხლძარღვების რენტგენოგრაფიის რიგში. მან აჩვენა, რომ დანის პირს არც ერთი მსხვილი არტერია არ დაეზიანებინა.

დანის პირის ამოღების ოპერაციაში მონაწილეობდნენ ოფთალმოლოგი, ოტოლარინგოლოგი, ყბა-სახის ქირურგი და ნეიროქირურგი. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ექიმებმა ისე მოახერხეს დანის პირის თავის ქალიდან ამოღება, რომ არც ერთი ორგანო არ დაზიანებულა, მათ შორის თვალიც.

ფანები კიმ კარდაშიანის ძველმა სახემ გააოგნა

რეალითი შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიანი-უესტმა თავის თაყვანისმცემლებს უჩვენა ფოტოსურათი, რომელზეც ის სკოლაში სწავლის წლებშია აღბეჭდილი. ფოტოსურათი ტელევარსკვლავმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სურათზე მოზარდი-კარდაშიანი კამერის წინ იცინის. მას თმები მოკლე კარედ აქვს შეჭრილი და რომელზეც ყვითელი ყვავილებიანი სარჭი უკეთია.

– მერვე კლასი, ჩემი კერპი დრიუ ბერიმორი იყო! – დაწერა სურათის კომენტარში კარდაშიანმა.

ფანები მოსწავლე კარდაშიანის მეტისმეტად „ბებერმა“ სახემ გააოგნა და მათ ფოტოსურათი კომენტარებით აავსეს.

– მე 27 წლის ასაკში ისევე გამოვიყურები, როგორიც შენ 14 წლის იყავი, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– მერვე კლასში როგორ საშინლად გამოიყურებოდი, – აღნიშნა მეორე ფანმა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ამ დროისთვის კიმ კარდაშიანის ფოტოსურათმა ორ მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

დედა დათვი ძაღლით მოსეირნე ქალს თავს დაესხა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის დასახლებულ პუნქტ სვონანოაში დედა დათვი თავს დაესხა მოხუც ქალბატონს, რომელიც ძაღლს ასეირნებდა და დააშავა.

თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 75 წლის ტონი რეგნესმა თავისი ძაღლი საღამოს გასეირნებაზე გამოიყვანა. მეზობლის სახლის მახლობლად მან სამი ახალგაზრდა დათვი შენიშნა, რომლებიც ქუჩაში დატოვებულ ნაგავში იქექებოდნენ.

ძაღლმა მათ ყეფა აუტეხა, ხოლო ქალმა დასაფრთხობად დაუყვირა. ამის შემდეგ მან თავისი ძაღლი ხელში აიყვანა და სახლისკენ გაემართა. ამ დროს კი მას თავს მოზრდილი დათვი დაესხა, რომელიც რეგნესმა სიბნელეში ვერ შენიშნა.

ქალმა სახლს შეაფარა თავი, თუმცა დედა დათვმა მისთვის რამდენჯერმე კბენა მაინც მოასწრო. დაშავებული ქალბატონი საავადმყოფოში გადაიყვანეს, პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და სახლში გაუშვეს. ექიმების შეფასებით, ქალს საკმაოდ სერიოზული დაზიანებები აქვს მიყენებული, თუმცა არც ერთი მათგანი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ჩრდილოეთ კაროლინას ბუნების დაცვის კომისიის თანამშრომლებმა დედა დათვის და მისი ბელების დაჭერა მოახერხეს, ბელები საკმაოდ მოზრდილები აღმოჩნდნენ საიმისოდ, რომ ცხოვრება დედა დათვის გარეშე გაეგრძელებინათ. ისინი მოშორებით ტყეში გადაიყვანეს და გაუშვეს, ხოლო დედა დათვი დააძინეს.

მამაკაცმა ყოფილი ცოლის სვირინგის მოშორება ვერაფრით მოახერხა

ბრიტანელი შეეცადა სხეულიდან მოეშორებინა სვირინგი, რომელიც თავისი ყოფილი მეუღლის პატივსაცემად ჰქონდა გაკეთებული. პროცედურის ჩატარების შემდეგ მის თითზე ყავისფერი სიმსივნე წარმოიშვა.

მოდის ინდუსტრიაში კლიენტებთან მუშაობის მენეჯერმა ენდრიუ მილნმა განაცხადა, რომ სვირინგის ლაზერის დახმარებით მოცილების პირველმა პროცედურამ კარგად ჩაიარა. პრობლემები მეორე პროცედურის შემდეგ დაიწყო.

– როდესაც დასაძინებლად დავწექი, კანი ცოტათი გაიბერა, დაახლოებით ორი მილიმეტრი, რაც ნორმალურია ორი პროცედურის ჩატარების შემდეგ. მაგრამ მეორე დილით გამოჩნდა აი ეს, დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი სიგრძის სიმსივნე, – განაცხადა მილნმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თითი არ სტკივა, მაგრამ საშინლად გამოიყურება. ის უკვე რამდენიმე დღეა არ ქრება. ოსტატმა, რომელმაც პროცედურა ჩაუტარა, მილნს მხოლოდ ერთი რჩევა მისცა: ყველანაირად ეცადა, რომ წამონაზარდი არ დაეზიანებინა. მისი თქმით, შესიებული ადგილიდან მუდმივად გამოდის სითხე.

ორ პროცედურაში ბრიტანელმა 70 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, სვირინგის სრულად მოსაცილებლად კი ოთხიდან ცხრა პროცედურამდეა საჭირო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6184	ევრო — 3.0798
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4445	100 რუსული რუბლი — 3.9875

ამინდის პროგნოზი 27 სექტემბრისთვის

პოგბა და მოურინიო ერთმანეთს არ ელაპარაკებიან

პოლ პოგბასა და ჟოზე მოურინიოს შორის კონფლიქტი იმდენად აშკარა გახდა, რომ ისინი უკვე აღარ მალავენ ამ ფაქტს.

პოგბამ მოურინიო სახალხოდ გააკრიტიკა დაცვითი ტაქტიკის გამო, მოურინიომ კი განაცხადა, რომ პოგბა არ არის ღირსეული კაპიტანი და მოედანზე თავის მოვალეობებს არ ასრულებს.

გარდა ამისა, ჟურნალისტებმა მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთი ვარჯიშის კადრები გადაიღეს, სადაც ჩანს, რომ მოურინიო და პოგბა ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. თუ ასე გაგრძელდა, რომელიმე მათგანი სავარაუდოდ გუნდს დატოვებს.

ემერიმ ლიოვი არსენალის ვარჯიშზე არ შეუშვა

იოაჰიმ ლიოვი თავის თანაშემწესთან ერთად ლონდონში იყო ჩასული, სადაც მას მესუტ ოზილთან დალაპარაკება სურდა, მაგრამ უნაი ემერიმ ლიოვი არსენალის ვარჯიშზე არ შეუშვა.

ემერიმ ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ ოზილს ლიოვთან საუბარი არ სურს.

ეს ინფორმაცია გერმანიის ნაკრების მწვრთნელმაც დაადასტურა და იმედი გამოთქვა, რომ ის მომავალში შეძლებს ოზილთან საუბარს.

მესუტ ოზილმა ორი თვის წინ გერმანიის ნაკრები სკანდალურად დატოვა და თქვა, რომ გერმანიაში მას თურქად აღიქვამენ და სათანადოდ პატივს არ სცემენ.

მარიო გიოტცეს ძმამ ბაიერნს გოლი გაუტანა

მარიო გიოტცეს ძმამ, ფელიქს გიოტცემ, ბაიერნს გოლი გაუტანა და მიუნხენელებმა ამ გოლის გამო მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს.

ფელიქსი აუგსბურგში თამაშობს, სადაც ის შარშან გადავიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმცროსი გიოტცე ბაიერნის აღზრდილია, მაგრამ მიუნხენურ გუნდში მან ფეხის მოკიდება ვერ შეძლო და ამ გუნდის მაისურით მას არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია.

ამიტომ ფელიქსმა ერთგვარად შური იძია ბაიერნზე, რომელმაც მას არც ერთი შანსი არ მისცა.

ვალვერდე: „ფეხბურთი შოუ-ბიზნესს ემსგავსება“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ ფეხბურთი სულ უფრო ემსგავსება შოუ-ბიზნესს და ის მხოლოდ სპორტი აღარ არის.

ვალვერდეს თქმით, ზედმეტად ბევრი ცერემონიები იმართება და ეს ფეხბურთს ხელს უშლის:

– ვფიქრობ, ამდენი ცერემონია საჭირო არ არის, რადგან ფეხბურთი პირველ რიგში სპორტია, თუმცა დღეს სიტუაცია შეიცვალა და ფეხბურთი შოუ-ბიზნესს ემსგავსება. რაც შეეხება მოდრიჩს, ის შესანიშნავი ფეხბურთელია და მან ეს ჯილდო დაიმსახურა, თუმცა ჩემთვის საუკეთესო ყოველთვის მესი იქნება.

უემბლი, შესაძლოა, ფულჰემმა იყიდოს

ლეგენდარული უემბლის სტადიონი ლონდონში, შესაძლოა, ფულჰემის მფლობელობაში გადავიდეს.

ფულჰემის ახალი მფლობელი, პაკისტანური წარმოშობის ამერიკელი მილიარდერი შაჰიდ ხანია, რომელიც რამდენიმე თვეა, მოლაპარაკებებს აწარმოებს უემბლის თაობაზე.

ეს მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მალე დასრულდება და უემბლიზე საშინაო თამაშებს ფულჰემი გამართავს.

შაჰიდ ხანი, სავარაუდოდ, 600 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადაიხდის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

ორი ქალი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი მეზობელი რომაა, ჟენია, მეორე ქმარსაც გაშორდა?

– ჰო, ასე ამბობს, ალტრუისტი იყო, მხოლოდ სხვებზე ფიქრობდაო...

– და პირველს რაღატომ გაშორდა?

– ეგოისტი იყო და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდაო.

•••

აეროპორტში მამაკაცი რეგისტრატურასთან კითხულობს:

– თუ შეიძლება მითხარით, შეგიძლიათ ისე გააკეთოთ, რომ ჩემი ერთ „ჩემოდანი“ ლონდონში ჩაფრინდეს, მეორე კი ტოკიოში?

– არა, ჩვენ ასეთი მომსახურება არ გვაქვს.

– კარგია, აი მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტში კი აქვთ.

•••

უნივერსიტეტის პროფესორი სტუდენტებს ეუბნება:

– დაუსრულებელი ანგარიში უბედურებას არ წარმოადგენს. მთავარია, როდესაც ბავშვებს გააკეთებთ, ისინი მაინც ბოლომდე დაასრულებული გამოგივიდეთ! თორემ, მერე ჩვენთან მოდიან დაუსრულებელი ბავშვები და მოაქვთ დაუსრულებელი ანგარიშებ, და არა და არ მთავრდება ეს ჩაკეტილი წრე...

•••

ლექტორი სტუდენტს ეკითხება:

– შეგიძლია დამისახელო რომელიმე ცნობილი პროვოკატორი?

– რა თქმა უნდა.

– და ვინ?

– კომპოზიტორი მენდელსონი.

– და რატომ იყო პროვოკატორი?

– მილიონობით სულელისთვის დაწერა უმშვენიერესი „საქორწინო მარში“, თავად კი სიცოცხლე სრულ მარტოობაში გაატარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

გურამ თუშიშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

ბაქოში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის პირადი პირველობა ძიუდოში ქართული ჰიმნით დასრულდა – გურამ თუშიშვილი ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

თუშიშვილმა საქართველოს მე-3 მედალი მოუტანა, მაგრამ ყველაზე მაღალი სინჯის მოუტანა. ჯამში ქართული მონაგარი 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაოს მედალია. ვერცხლის მედალი ვარლამ ლიპარტელიანმა (100) მოიპოვა, ხოლო ამირან პაპინაშვილი (60) ბრინჯაოს დასჯერდა.

თუშიშვილმა მეორე წრეში რუმინელი დანიელ ნატეა დაამარცხა, შემდეგ უკრაინელ იაკივ ხამოს მოუგო, მეოთხედფინალში ჰოლანდიელ როი მეიერს დამატებით დროში სძლია, ნახევარფინალში კი მონღოლ დურენბაიარ ულზიბაიარს მოუგო. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ძიუდოისტმა ყველა შეხვედრა იპონით მოიგო.

იპონითვე მოიგო თუშიშვილმა ფინალიც, სადაც მეტოქედ აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაური ჰყავდა. ოქროს ბედი საჭიდაო დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე გადაწყდა – თუშიშვილმა შესანიშნავი ილეთით ბეჭებზე დასცა კოკაური.

ოქრომდე მცირედი დააკლდა ლიპარტელიანს, რომელიც ფინალში სამხრეთკორეელ გუჰამ ჩოსთან დამატებით დროში დამარცხდა. მანამდე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ფრანგი ალექსანდრე იდირი ვაზარით დაამარცხა, მერვედფინალში აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვს დამატებით დროში მოუგო, მეოთხედფინალში ეგვიპტელ რამადან დარვიშს აჯობა, ხოლო ნახევარფინალში მონღოლ ოგტონბაატარ ლხაგვასურენს ვაზარით სძლია.

პაპინაშვილმა მერვედფინალში ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტი, აზერბაიჯანელი ორხან საფაროვი 20 წამში იპონით დაამარცხა, მეოთხედფინალში ბრაზილიელ ერიკ ტაკაბტაკეს ვაზარით სძლია. ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე რობერტ მშვიდობაძესთან დამატებით დროში ოქროს ქულა მეტოქემ მოიპოვა და პაპინაშვილი ბრინჯაოს მედლისთვის საბრძოლველად დატოვა, სადაც აზერბაიჯანელ კარამატ ჰუსეინოვს ვაზარით მოუგო და მე-3 ადგილზე გავიდა.

მოამზადა მისეიელ ყორეყოლიანმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ოპერა „ნაბუქუდონოსორის“ მუსიკის ავტორი; 2. მდინარე რომში; 3. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ძლიერი, ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე; 6. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 9. მონასტერი რაჭაში; 10. სათავგადასავლო კინოს, თრილერის, ბოევიკის მთავარი გმირი; 11. შეგნებული, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესკენ; 14. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 16. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 18. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 20. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. გემის მზარეული; 24. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 25. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში.

თარაზულად: 7. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 8. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 13. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 15. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 19. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ცხოველთა სამყარო; 22. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე აირი; 27. კინოკომედია „ქვევრის“ რეჟისორი; 28. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა